საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

წლიური ანგარიში 2022

სარჩევი

2022 წლის წლიური ანგარიში 2
წინასიტყვაობა 2
გეოგრაფიული დაფარვა 4
მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები 4
ორგანიზაციის სტრუქტურა 5
ჩვენი გუნდი 5
წლიური შემოსავლები 6
მოკლე ინფორმაცია 2022 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ 6
პუბლიკაციები 8
ღონისძიებები 8
მიმდინარე და განხორციელებული პროექტები 9
ჩვენი პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან 10
მიმართულებები 12
თემის განვითარების პროგრამა 13
საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება 24
სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა 24
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა 31
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა 37
გავლენის ფონდი აქციო 44
პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის 44
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა 51
კარგი მმართველობის ხელშეწყობა 56
ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა 60
კონტაქტი: 63

ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“

სამოქალაქო ორგანიზაცია

2022 წლის წლიური ანგარიში

27 წელი თქვენთვის და თქვენთან ერთად!

CSRDG დაარსდა 1995 წლის ივლისში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.
1995 წელს ქართული საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება, თუმცა თვლიდნენ, რომ სწორედ ამ ფორმით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევა. ამ იდეით, 1995 წლის ივლისში, დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG). 27 წელია, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას.
დაარსების დღიდან, ჩავატარეთ მრავალი კვლევა, ხელი შევუწყვეთ მრავალ საკანონმდებლო ინიციატივას, სათემო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოს რეგიონებში, მხარი დავუჭირეთ სოციალური საწარმოებისა და სოციალური სერვისების განვითარებას, გავხდით პიონერი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ხელი შევუწყვეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

წინასიტყვაობა

ჩვენი ღირებულებებისადმი დიდი ერთგულებით არის განპირობებული, რომ სამოქალაქო სექტორში 27 წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ, როგორც ძლიერი კვლევითი ინსტიტუტი, სანდო პარტნიორი და საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაცია.
ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა. მოცემულ დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება საზოგადოებას. ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინტერესებული მხარეების წინაშე ვიყოთ გამჭვირვალე და გაგაცნოთ ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან შეტანილი დადებითი წვლილი.
წინამდებარე ინტეგრირებულ ანგარიშში გაერთიანებულია ორგანიზაციის წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში, მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement).

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას, ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის ”ანგარიშგების

გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

GRI COMMUNITY MEMBER 2022 „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა” წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.

UN GLOBAL COMPACT COMMUNICATION ON PROGRESS This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals. We welcome feedback on its contents.	გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

ამ ანგარიშის ფარგლებში ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს მუდმივ მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული სფეროებში.

ასევე, ვადასტურებთ მზაობას ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილავთ გლობალური შეთანხმების ინიციატივაში ჩართული სხვა კომპანიების წლიურ ანგარიშებს (Communications on Progress).

2022 წელს ორგანიზაცია ძირითადი პროგრამის ფარგლებში მუშაობდა სამი მსხვილი მიმართულებით: სამოქალაქო სექტორის განვითარება, ღია მმართველობის ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: თემის განვითარება, სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების ინიციატივა, კარგი მმართველობა, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის, კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის, მომხმარებელთა

უფლებების დაცვის და სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები. ამ პროგრამების ფარგლებში 2022 წელს CSRDG-მ განახორციელა 11 მიმდინარე პროექტი, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო CSRDG-ის პერსონალს, ჩვენს პარტნიორებსა და მხარდამჭერებს, დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა ძალისხმევამ მოგვცა საშუალება განვახორციელოთ ანგარიშში აღწერილი აქტივობები და მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. განსაკუთრებული მადლობა ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს, ვინც არ დაიშურა ენერგია, უპასუხა ამდენ გამოწვევას და წარმატებით, ახალი უნარებით, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილმა, დაასრულა ეს ურთულესი წელი.

ეკა ურუშაძე,

აღმასრულებელი დირექტორი, CSRDG

გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა, ცალკეული მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს ცალკეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში. კერძოდ, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, ყვარელი, თელავი, გორი, თეთრიწყარო და ბოლნისი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი, ქედა, სენაკი და ხობი, მესტია, ონი, ამბროლაური, ქუთაისი, გორი, ბოლნისი, თეთრიწყალო, ახალციხე.

ჩვენი სათავო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, რეგიონალური - ქალაქ თელავში.

მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ, თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი: აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ჩვენი გუნდი

1. ეკა ურუშაძე
2. ეკა დათუაშვილი
3. ნინო ვასაძე
4. ვახტანგ კობალაძე
5. მაკა ასამბაძე
6. თამარ ხაჩიძე
7. მანანა მჭედლიშვილი
8. ქრისტინე კანდელაკი
9. დოდო გოქაძე
10. თამარ გერმანაშვილი
11. ეკატერინე ჩხეტია
12. გიგა ჩიტიშვილი
13. ეკატერინე (ანა) ილურიძე
14. ნათია მეტრეველი
15. ზურაბ ტატანაშვილი
16. სალომე თოფურიძე
17. ანა ნადირაშვილი
18. ლია თოდურა
19. ნინო ქიტუაშვილი
20. თამარ გობეჯიშვილი
21. ლელა ხოფერია
22. ნონა ალადაშვილი
23. ლევან როსტომაშვილი
24. ქეთევან კალანდაძე
25. ბექა გუნთაიშვილი
26. ნია ჭელიძე
27. დავით ჩიკვაიძე
28. მიხეილ გოგიჩაიშვილი
29. ლილი უშვერიძე
30. ნონა რუხაძე
31. ანა ფილაური
32. მარიამ მჭედლიშვილი
33. მარიამ ჯაფარიძე

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

დონორებისგან დაფინანსება წლების მიხედვით:

- **2018 – ლარი 3,091,110**
- **2019 – ლარი 3,980,197**
- **2020 – ლარი 3,495,122**
- **2021 – ლარი 3,903,783**
- **2022 – ლარი 4,307,501**

წლიური შემოსავლები

დასახელება	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
გრანტის სახით მიღებული შემოსავლები	3,091,110	3,980,197	3,495,122	3,903,783	4, 307, 501
შემომწირველებისგან მიღებული თანხები	52,345	60,407	47,090	27, 222	126,241
ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი	7,531	72,718	62,276	41, 786	3 390
ჯამი	**3,150,986**	**4,113,322**	**3,604,488**	**3, 972, 791**	**4, 177, 870**

მოკლე ინფორმაცია 2022 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ

- ვიმუშავეთ 24 მუნიციპალიტეტის 48 თემთან;
- მომზადდა 4 ვიდეოგაკვეთილი ევროინტეგრაციის თემაზე(www.asocireba.ge);
- გვაქვს მიმდინარე 11 პროექტი (საგრანტო კონტრაქტები); 3 მომსახურების კონტრაქტი;
- ექსპერტების მიერ მომზადდა 7 პუბლიკაცია;
- დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში მომზადდა 10 პუბლიკაცია ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- პრობონო საქმეში 17 კომპანიის 37 კონსულტანტი იყო ჩართული. საერთო ჯამში, 504 პრო ბონო საათი დაიხარჯა. ამ პრობონო საქმეებით სულ ისარგებლა 31 სოციალურმა ორგანიზაციამ და მოგვარდა 39 საკითხი;
- წარმოდგენილი რეკომენდაციების ეფექტიანად განხორციელებაში კონსულტაციებისა და პროფესიული დახმარების გაწევის მიზნით სამიზნე

რეგიონებში ჩატარდა 36 სხვადასხვა შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამამ მოქალაქეებს გაუწია 136 კონსულტაცია, რომელიც მოიცავდა უამრავ სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხს. სამ შემთხვევაში მომხმარებელს ადვოკატი უწევდა მომსახურებას.
- სამ სამიზნე მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ 25 რეკომენდაციიდან 15 უკვე განხორციელდა;
- CSRDG-ის 4 რეკომენდაცია შევიდა კანონში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ძირითადი ადმინისტრაციული პროცედურების სათანადო ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი 93 რეკომენდაციიდან 59 უკვე განხორციელდა; და დამტკიცდა 12 მნიშვნელოვანი ტიპის დებულება/ნორმატიული აქტი;
- ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ფილანტროპიის პოპულარიზაციას, ისეთი მოდელების პოპულარიზაციას, როგორიცაა სათემო ფონდები და სახალხო დაფინანსება.
- ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების კვლევა;
- შეიქმნა და გამოიცა ხანდაზმულთა და შშმ პირთა სოციალური მომსახურების შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების პაკეტები: ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო, შეზღუდვის დოკუმენტი, სხვადასხვა ინსტრუმენტები და ორგანიზაციული სახელმძღვანელოები;
- სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციების 57 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგები უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების დაგეგმვის, მიწოდების და შეფასების შესახებ.
- 7 მუნიციპალიტეტში მოხდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პილოტირება.
- სოციალური მომსახურების მიმწოდებელ 8 ორგანიზაციას გაეწია მხარდამჭერი მონიტორინგი.
- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ინტეგრირდა სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, შეიქმნა საკითხავი მასალა;
- განხორციელდა სოციალური მუშაობის აღსრულების მონიტორინგი და საადვოკაციო კამპანია, გამოიცა 3 ჩრდილოვანი ანგარიში;
- შეიქმნა და გამოიცა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო სტანდარტი.
- ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პირველი ეროვნული კონფერენცია.
- CSR ბლოგზე გამოქვეყნდა 20 ბლოგი;
- "საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი მელიორა" ზედიზედ მეოთხე წელია წარმატებით გამოცხადდა.
- შეიქმნა CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი;

- ჩამოყალიბდა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც ერთობლივად მუშაობდა CSR-ის მხარდამჭერი სახელმწიფო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაზე;
- სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში ვითანამშრომლეთ 22 სოციალურ საწარმოსთან;
- სოციალურ საწარმოებს ჩაუტარდათ 100-ზე მეტი კონსულტაცია;
- ჩატარდა 177 B2B შეხვედრა
- 200-ზე მეტ ახალგაზრდას გაეცნო სოციალური მეწარმეობის კონცეფცია;
- შეიქმნა პირველი გავლენის ფონდი აქციო;
- შეიქმნა სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის 6 ცენტრი, რომელთა მხარდაჭერითაც დასაქმდა 300-მდე ადგილობრივი და 3000-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მისთვის საჭირო მომსახურება - სწავლება, გადამზადება თუ დასაქმებისთვის საჭირო სხვა უნარ - ჩვევების შეძენა.
- დაფინანსდა შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე 6 სოციალური საწარმო, სადაც ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადამიანების დასაქმებით ხელი შეეწყო მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.
- CSRDG-მ დააფინანსა 177 ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის პროექტი, საგრანტო თანხის საერთო ოდენობა იყო 1 547 267 ლარი.

პუბლიკაციები

- [სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა]
- [სოციალური საწარმოების გავლენის კვლევა საქართველოში ანალიტიკური კვლევა]
- [სოციალური მეწარმეობის კვლევა]
- [უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტი]
- [შშმ ბავშვთა და მოზარდთა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების მართვისთვის საჭირო დოკუმენტები]
- [ხანდაზმულთა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების მართვისათვის საჭირო დოკუმენტები]
- [სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშები (2020, 2021, 2022 წწ.)]

ღონისძიებები

- სათემო ლიდერთა ფორუმი 2022;
- პირველი „იდეების აუქციონი“ საქართველოში;
- პირველი ეროვნული კონფერენცია უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების შესახებ;
- პრობონო შეხვედრები;
- მრგვალი მაგიდა - მომხმარებლის უფლებების დაცვა;
- რიგით მესამე B2B გამოფენა სოციალური საწარმოებისათვის.

მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

1. აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის - 2020-2023 (ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის)
2. ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის (გაეროს განვითარების პროგრამა)
3. პროექტი სახალხო დაფინანსების ღონისძიების მხარდასაჭერად, რომელიც ეფუძნება TFN დონორთა წრის მოდელს
4. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების ხელშეწყობის ეროვნული კონფერენცია (ავსტრიის განვითარების სააგენტო)
5. ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთისთვის/EFSE/-B2B გამოფენა
6. თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ევროკავშირი);
7. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის (ევროკავშირი, კონრად ადენაუერის ფონდი)
8. სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის (ევროკავშირი)
9. მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში პროექტის წინაპირობა (Hilfswerk International; ავსტრიის განვითარების სააგენტო)
10. უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის (ევროკავშირი)
11. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ხანდაზმულებისთვის (ევროკავშირი)

ჩვენი პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

მიზანი	CSRDG-ის პროგრამა	გვერდი
მიზანი 1 – სიღარიბის აღმოფხვრა	თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	13,36,44;
მიზანი 2 – ნულოვანი შიმშილი		
მიზანი 3 – ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	სოციალური მომსახურების განვითარება;	24;
მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	10,31,36,44;
მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა	თემის განვითარება; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის; ევროინტეგრაცია	13,44,60;
მიზანი 6 – სუფთა წყალი და სანიტარია		
მიზანი 7 – ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია		
მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა;	13,31,36,44;

	უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	
მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		
მიზანი 10 – შემცირებული უთანასწორობა		
მიზანი 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები	თემის განვითარება; კარგი მმართველობა	13,56;
მიზანი 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; კარგი მმართველობა	13,31,56;
მიზანი 13 – კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები		
მიზანი 14 – ოკეანისა და ზღვის რესურსები		
მიზანი 15 – დედამიწის ეკოსისტემები		
მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები	კარგი მმართველობა	56;
მიზანი 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად		

მიმართულებები

ორგანიზაციაში სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

1. სამოქალაქო სექტორის გაერთიანება
2. კარგი მმართველობის ხელშეწყობა
3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა

<u>სამოქალაქო სექტორის განვითარება</u> - ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ თემის განვითარებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები ერთიანდებიან.

<u>თემის განვითარება</u> (სოფლის და თემის დონე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება</u> - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

<u>სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა</u> - საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილი იქნება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

თემის განვითარების პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, **თემის განვითარების მიმართულებით, 1998 წლიდან მუშაობს.**

მიმართულების მიზანი, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სათემო ლიდერების, სამოქალაქო ორგანიზაციების თუ საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერაა, რათა ამ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების უკეთ წარმოჩენა და არსებულ საჭიროებებზე რეაგირება.
ამისათვის, პროგრამა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობს:

1. სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება
2. სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
3. ქვეყანაში არსებული სათემო ორგანიზაციატა ქსელების გაძლიერება
4. ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

პროგრამა თავისი საქმიანობით მთელ ქვეყანას ფარავს, თუმცა უფრო ინტენსიურად კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის რეგიონებში მუშაობს.

სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება/კავშირების ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება

ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს თემის განვითარების რესურს ცენტრის (CDRC.GE) გარკვეულ საქმიანობებს, როგორიცაა სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის ე.წ. რუქის პერიოდული განახლება, სათემო ორგანიზაციებისათვის საჭირო ინფორმაციების/სიახლეების მიწოდება, ეროვნული დონის სათემო განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების კოალიციაში (Community Development Coalition - CoDeCo) ჩართულობა, თემატური კვლევების ჩატარება და სათემო ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრების - სათემო ლიდერთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება.
2022 წელს დასრულდა 2021 წელს სათემო განვითარების ცენტრთან (CDC) ერთობლივად დაწყებული **სათემო ორგანიზაციების/პროექტების სოციალური გავლენის კვლევა,** ერთგვარი პირველი მცდელობა, სათემო ჯგუფების და მათი პროექტების გავლენის შეფასებისა, რომელიც 2020 წელს ჩატარებული, სათემო ორგანიზაციების აღწერის (Mapping) კვლევის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ. კვლევა მიმოხილვით ნაწილთან ერთად მოიცავს სხვადასხვა სექტორებზე მიმართულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება სათემო ჯგუფების და

ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. კვლევის ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე.

წინამდებარე კვლევის შემაჯამებელი დასკვნა:

სათემო ორგანიზაციების მუშაობა ადგილობრივ თემებში არის უაღრესად დადებითი შედეგების მომტანი როგორც ინდივიდუალურ, ისე, თემისა და მუნიციპალიტეტის დონეებზე. სათემო ორგანიზაციების როლი თემებისთვის აქტუალური გამოწვევების გადაჭრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და ხელშესახები. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დონორი ორგანიზაციების მხრიდან გაგრძელდეს სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერა, თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა ითვალისწინებდეს იმ კომპლექსურ გარემოს, სადაც სათემო ორგანიზაციებს უწევთ მუშაობა და იმ რესურსებს, რომელთაც ისინი ფლობენ. მნიშვნელოვანია, რომ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას უფრო გრძელვადიანი და სისტემური ხასიათი ჰქონდეს, რაც შესაძლებლობას მისცემს სათემო ორგანიზაციებს რომ უფრო ფართომასშტაბიანი/გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მქონე პროექტები განახორციელონ და, შესაბამისად, უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინონ საკუთარ სამიზნე ჯგუფებზე.

კვლევის შედეგები გაეცნო ფართო საზოგადოებას სათემო ლიდერთა ფორუმზე, CoDeCo კოალიციის შეხვედრებზე, ასევე მისი ბეჭდური ვერსია მიეწოდა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს, ხოლო ელექტრონული ვერსია დავცელდა სოციალური მედიის მეშვეობით.

2022 წელს 9-10 ნოემბერს, წარმატებით ჩატარდა ყოველწლიური რიგით მერვე **სათემო ლიდერთა ფორუმი**, რომელსაც ამჯერადაც კახეთმა უმასპინძლა - ფორუმი ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ფარგლებში, გაიმართა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 145 ადამიანმა, მათ შორის თემის ლიდერებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა მთელი საქართველოდან, ასევე სამთავრობო უწყებების, ბიზნეს კომპანიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ფორუმზე დამსწრე საზოგადოებამ, მოისმინა სათემო ჯგუფების და პროექტების სოციალური გავლენის კვლევის შედეგები, რომელსაც კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ანა მარგველაშვილი გაუძღვა, ასევე ონლაინ ჩართვით ექსპერტმა შოთა მურღულიამ აუდიტორიას პროექტების ეკონომიკური გავლენის შეფასების შედეგების გააცნო. ფორუმის განმავლობაში ტრადიციული 2020-2021 წლების 'საუკეთესო სათემო ინიციატივების' კონკურსიც გაიმართა, მასზე წარდგენილი 6 სათემო ინიციატივიდან:

- ჟიურის რჩეული „ახალი აზროვნების ინსტიტუტის - NTI" პროექტი 'NTI თქვენს სახლში' გახდა;

- აუდიტორიის რჩეული კი - რაჭის სათემო ორგანიზაციის პროექტი - 'მთის ბავშვებისთვის'.

თითოეულ გამარჯვებულს გადაეცა სპეციალური პრიზი და ბირმინგემის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული 500 ფუნტი სტერლინგი.

'საუკეთესო სათემო ინიციატივების' კონკურსის მონაწილე სათემო ჯგუფების მომზადებისა და მათთვის სპეციალური ჯილდოების დაწესების პროცესში ჩართულნი იყვნენ ბიზნეს კომპანიები: ალდაგი, თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, კრედო ბანკი, კრისტალი და Moore abc. კონკურსის მონაწილეებისათვის სპეციალური პრიზები ასევე, დააწესეს გაეროს განვითარების პროგრამამ, სოციალურმა საწარმოებმა „დედიკო" და 'მირაბალდები', სოციალურ საწარმოთა ალიანსმა და სათემო ორგანიზაციათა ჯგუფმა.

ფორუმის მეორე დღეს გაიმართა მულტისექტორული პანელური დისკუსიები შემდეგ თემებზე:

- „ქრაუდფანდინგი", როგორც დაფინანსების ალტერნატიული შესაძლებლობა;
- ახალგაზრდული პოლიტიკა და შესაძლებლობები სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის;
- სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა თემის დონეზე;
- სოციალური მეწარმეობა სათემო ორგანიზაციებში

2022 წლის ფორუმის მხარდამჭერები ევროკავშირის და კორნად ადენაუერის ფონდის (KAS) გარდა, იყვნენ გაეროს განვითარების სააგენტო, შვედეთის საელჩო, პური მსოფლიოსათვის და ბირმინგემის უნივერსიტეტი.

სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში თითქმის ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მაშტაბით ცხადდება საგრანტო კონკურსი მცირე სათემო პროექტების და ინიციატივების მხარდასაჭერად. საგრანტო კონკურსის თემატიკა განსხვავებულია, თუმცა მათი მიზანი ყოველთვის უცვლელია: ა) ადგილებზე არსებული პრობლემების მოგვარება და საჭიროებებზე რეაგირება, თავად ადგილობრივი ჯგუფების ძალისხმებით და მოსახლეობის ჩართულობით და ბ) პროექტის განხორციელების საშუალებით და ამ პროცესში პროგრამის გუნდის ინტენსიური მენტორინგით, თავად სათემო ჯგუფების და ლიდერების შესაძლებლობების განვითარება, როგორც უნარების გავარჯიშების, ისე თვითდაჯერებულობის ამაღლების და თემში აღიარების / ნდობის გაზრდის მეშვეობით.

2022 წელს, სექტემბერსა და ნოემბრის თვეებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სტარ პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ორი **კონკურსი სათემო ინიციატივების მხარდასაჭერად.** ორივე კონკურსზე შემოსული განაცხადების რაოდენობამ 167 შეადგინა, რაც ამ ტიპის საგრანტო კონკურსზე ქვეყანაში არსებულ დიდ ინტერესზე და საჭიროებაზე მიუთითებს. კონკურსის მიზანია იმ სათემო

პროექტების/ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და აქტივისტთა ჯგუფების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების, ისე ადგილებზე არსებული შესაძლებლობების/რესურსების ეფექტურად გამოყენების კუთხით, ასევე ხელს შეუწყობს კონკრეტულ გეოგრაფიულ ან სოციალურ თემში არსებული პრობლემების მოგვარებას / აქტუალური საკითხების გადაჭრას, ადგილობრივი რესურსების (ბენეფიციარები, მხრადამჭერები, მოხალისეები, სპონსორები, მატერიალური/ფინანსური რესურსი და ა.შ) მობილიზაციის ეფექტური კამპანიებით. კონკურსის გამოცხადებას წინ უძღოდა ერთგვარი საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ **ტრენინგების ციკლი თემაზე: საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გაძლიერება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით.** ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა 10 ლოკაციაზე (მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი) და მასზე დამსწრეთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 145 ადამიანი. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სამოქალაქო საზოგადოება, თემი და თემთან მუშაობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ციფრული კომუნიკაციის პლატფორმები და ციფრული კომუნიკაციის ინსტრუმენტები, კამპანიის სახეები (სოციალური, პოლიტიკური, სარეკლამო, ადვოკატირებისა და ქრაუდფანდინგის კამპანია), მხარდამჭერების მოზიდვა და კამპანიის დაგეგმვა.

2022 წელს დაფინანსდა პირველი ნაკადის 8 სათემო პროექტი/ინიციატივა, რომელზეც გაცემულმა საგრანტო თანხამ ჯამში 236 871,95 ლარი შეადგინა.

დაფინანსებული პროექტები:

#	ორგანიზაცია/ ჯგუფი	პროექტის სახელი
1.	იორმუღანლოს სათემო ცენტრი	პოზიტიური აქტივიზმის მნიშვნელობა და გაღვიძება/პოპულარიზაცია
2.	ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი CSMDI	„არაფორმალური განათლების ახალგაზრდული მულტიმედიური სასწავლო ცენტრი ახალდაბაში“
3.	ა(ა)იპ ჟურნალისტისკის რესურსცენტრი	კოხტა მედიათეკა
4.	ააიპ უხუცეს ქალთა საბჭო	ძლიერი ქალები - ძლიერი საზოგადოება
5.	ა(ა)იპ თემთა სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ასოციაცია - „იმერეთი“	‚ახალგაზრდა ლიდერები თემის განვითარებისათვის“
6.	ა(ა)იპ „მწვანე პოლუსი“	თბილისში ქვის მშრალი მეთოდით ჭრის მონიტორინგის ხელშეწყობა
7.	საინიციატივო ჯგუფი „ქალების ძალა მაღრაანისთვის“	თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარება მაღრაანში
8.	ა(ა)იპ ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრი	სოფლად საინიციატივო ჯგუფების შექმნა და გაძლიერება

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანს აქვს უდიდესი ბუნებრივი და კულტურული რესურსი ტურიზმის განვითარებისთვის, თუმცა პროექტამდე ეს ყველაფერი მხოლოდ პოტენციალად განიხილებოდა. პროექტით დაგეგმილი აქტივობები მაღრაანის, როგორც ახალი ტურისტული ადგილის შექმნა-პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. პროექტი ითვალისწინებდა სოფელ მაღრაანის ტურისტული რესურსების მოკვლევას, ტურიზმის მომსახურების კუთხით ტრენინგების, მასტერკლასების ჩატარებას, ფესტივალების დაგეგმვას, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენასა და პრაქტიკული გაკვეთილების მოწყობას ტურ ოპერატორებთან ერთად.

პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი გათვლა გახლდათ ტურიზმის განვითარების ხარჯზე, მაღრაანის თემის სოფლების: მაღრაანის, ფიჩხოვანის, არგოხის

ეკონომიკური და სოციალური წინსვლა. ადგილობრივებში უკვე შეინიშნება ინტერესი და პირველი ნაბიჯების გადადგმის მცდელობა ტურიზმის მიმართულებით რაც სწორად წარმართული საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

შეიძლება ითქვას რომ პროექტი "აღმოაჩინე მაღრაანი - Discover Maghraani" უკვე ამბობს თავის სათქმელს: საქმიანობით დაინტერესდნენ მედია საშუალებები; დაგეგმილია არა ერთი რეპორტაჟი; გამოჩნდნენ პირველი ზურგჩანთიანი სტუმრები, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პროექტი იმაზე მეტ შედეგებს მიაღწევს დასკვნით ეტაპზე, ვიდრე ეს გათვლილი და წარმოდგენილი ჰქონდათ გუნდის წევრებს.

ქვეყანაში არსებული სათემო ჯგუფების ქსელის გაძლიერება

ეს მიმართულება, წინა წლებში ცენტრის სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის მიზნობრივ სოფლებსა და დაბებში ფორმირებული სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების 27 წევრიანი ქსელის გაძლიერებას მოიცავს. კერძოდ, **ქსელის წევრების ტექნიკური (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები) და ფინანსური (პროგრამული დაფინანსება) მხარდაჭერის** გზით.
2022 წელს პროგრამამ, რეგიონული ორგანიზაციების კონსორციუმთან ერთობლივად ინტენსიურად იმუშავა **ქსელის 16 წევრ ორგანიზაციასთან და საინიციატივო ჯგუფთან.** ცენტრთან და მისი თელავის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან რეგიონული ორგანიზაციების: საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია - კახეთი, განვითარების კერა - სამეგრელო და დემოკრატიული განვითარების კავშირი - გურია წარმომადგენლები.

რაც შეეხება 16 სათემო ორგანიზაციას, ესენი არიან თელავის (ფშაველი, სანიორე და ქვემო ხოდაშენი), ლაგოდეხის (ჰერეთისკარი, შრომა, ვარდისუბანი და ცოდნისკარი), დედოფლისწყაროს (არბოშიკი, ხორნაბუჯი), ხობის (თორსა), ჩხოროწყუს (მუხური, ლესიჭინე, ჩხოროწყუ და ბანძა), ოზურგეთის (ჯუმათი) და გორის (სკრა) მუნიციპალიტეტებში მოქმედი სათემო ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ ჯამში 6 ტრენინგი ისეთ თემებზე როგორიცაა: ორგანიზაციული განვითარება და თვითშეფასების მეთოდები; ორგანიზაციული მედეგობა, ახალგაზრდებთან მუშაობის უნარები; სამაგიდე თამაშის „ქალები საქართველოდან“ არსი და გამოყენება; სოციალური მეწარმეობის ძირითადი პრინციპები. ჯამში 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო ტრენინგებს, რომელთაგან 90 % ზე მეტი ქალებით იყვნენ წარმოდგენილნი.
გარდა ტრენინგებისა, მიზნობრივ სათემო ორგანიზაციებს ორგანიზაციული განვითარების და თვითშეფასების მეთოდების ტრენინგის კვალდაკვალ ჩაუტარდათ საკუთარი ორგანიზაციების და ჯგუფების თვითშეფასების ინდივიდუალური ვორქშოფები (ჯამში 14 სამუშაო შეხვედრა), სადაც ტრენინგზე მიღებული ცოდნის აპრობირება მოხდა და სათემო ჯგუფებმა უფრო მკაფიოდ დაინახეს საკუთარი ორგანიზაციების სუსტი მხარეები და განვითარების შესაძლებლობები.

გარდა ამისა, სათემო ორგანიზაციების ქსელის წევრებისთვის გაგრძელდა ონლაინ შეხვედრების ციკლი სახელწოდებით „სათემო საუბრები“, წლის მანძილზე ჩატარდა 4 ორ-სამ საათანი შეხვედრა, რომელსაც ჯამში 100-მდე სათემო ლიდერი დაესწრო. შეხვედრები ჩატარდა ონლაინ პლატფორმის „დოპომოგა უკრაინი“ დამფუძნებელთან; ქეა კავკასიის, უკრაინის კრიზისზე სწრაფი რეაგირების პროექტის წარმომადგენელთან; სოფლად მცხოვრებ წარმატებულ მეწარმე ქალებთან, საუბრები მიეძღვნა ისეთ თემებს, როგორიცაა: სათემო ჯგუფების მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში - დილემა თუ შესაძლებლობა; ქალთა მიმართ ძალადობა და მისი პრევენციის/მსხვერპლის დაცვის არსებული მექანიმზები საქართველოში.

ამავე, სათემო ორგანიზაციებმა პროგრამის გუნდის წევრების ფასილიტაციით და დახმარებით, შეიმუშავეს ერთლწიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც არის ერთგვარი რეაგირება მათ თემში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე და მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო და სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, ასევე ადგილზე არსებული პრობლემების ადვოკატირების კომპონენტს. ეს უკანასკნელი მოიაზრებს ადგილობრივი პრობლემების კვლევას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისადმი და შესაბამისი უწყებებისთვის რეაგირებისთვის მიწოდებას. სწორედ ამ სამოქმედო გეგმების განხორციელებას გაუწია პროგრამამ **მცირე ფინანსური მხარდაჭერა,** რამაც თითო ჯგუფზე/ორგანიზაციაზე საშუალოდ 7000-8000 ლარი შეადგინა. წლის მანძილზე სამოქმედო გეგმების ფარგლებში, **სათემო ჯგუფების მიერ 400-მდე ღონისძიება განხორციელდა**. ამავდროულად, ადვოკატორების და სხვა დონორი ორგანიზაციებიდან თანხების მოძიების მეშვეობით, ამავე პერიოდში სათემო ჯგუფებმა შეძლეს **69 ადგილობრივი პრობლემის მოგვარება/საჭიროებაზე რეაგირება**.

ამავე მიმართულების ქვეშ, აქცენტი კეთდება გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციაზე, რაც სათემო ორგანიზაციების ქსელის წევრების განათლებასა და მათ საველე სამუშაოებში ჩართავაში გამოიხატება. ამ ეტაპზე ასეთ საკითხად, შერჩეულ იქნა ნარჩენების მართვა. ინიციატივის პილოტირება სამ მიზნობრივ თელავის, ლაგოდეხის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტბში გაკეთდა. იგი მოიაზრებდა, დამტკიცებული ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმების მონიტორინგს და საველე სამუშაოებში სწორედ ქსელის წევრი სათემო ჯგუფების და არსებული ეკო კლუბების ჩართვას. გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის და საველე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, თითოეული მუნიციპალიტეტისთვის მომზადაა მონიტორინგის ანგარიშები და შესაბამისი კომპლექსური სარეკომენდაციო წინადადებები. ეს უკანასკნელი მიეწოდა როგორც სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებს, ასევე საკრებულოებს. სხვადასხვა თემატიკასთან ერთად რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთასა და რემედიაციას, გარკვეულ ლოკალურ უბნებზე ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობების გაზრდას, აღნიშნული კონტეინერების დაცლის ინტენსივობის გაზრდასა და ქაღალდის (ან პლასტიკის) ნარჩენებთან სეპარირების პროცესის დაწყებას. ჯამში ქვესაკითხებზე მიწოდებული რეკომენდაციების რაოდენობამ შეადგინა 25.

წარდგენილი რეკომენდაციებიდან უკვე დაწყებულია პროცესი ზოგიერთი მათგანის გათვალისწინებისა, მაგალითად ოზურგეთში აღიკვეთა რამოდენიმე სტიქიური ნაგავსაყრელი, უკვე დაწყებულია პლასტიკის სხვა ნარჩენებთან სეპარირების პროგრამა, ზოგიერთ უბანზე გაიზარდა ნაგავშემკერები კონტეინერების რაოდენობა, ლაგოდეხში კი რეკომენდაციის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა შეიძინა 50 ერთეული პლასტმასის 1100 ლიტრიანი სანაგვე ურნა და 40 ერთეული პლასტიკის სეპარირებისათვის განკუთვნილი ურნა. ჯამში კი სამი მუნიციპალიტეტისთვის მიწოდებული 25 რეკომენდაციიდან ამ ეტაპისთვის უკვე გათვალისწინებულია - 15.

ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

ამ მიმართულებით ორგანიზაციამ საქმიანობა 2020 წლიდან დაიწყო და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმასთან ერთად საკმაო გამოცდილების დაგროვებაც შეძლო. საქმიანობა ძირითადად მოიცავს საზოგადოებაში კონცეფციიის პოპულარიზაციას, მის მაგალითებზე და ფორმებზე მეტი ინფორმაციის და განათლების შეტანას, და ისეთი მოდელების დანერგვას და ხელშეწყობას, როგორიცაა **სათემო ფონდები** (Community Foundations) და **ქრაუდფანდინგი** ანუ სახალხო დაფინანსება.
2022 წელს, გაგრძელდა ფილანტროპიის პოპულარიზაციაზე მიმართული საკომუნიკაციო კამპანიის განხორციელება მთელი ქვეყნის მაშტაბით. კამპანიის ამოცანა იყო, ფილანტროპიის, კერძოდ სახალხო დაფინანსების გზით სხვათა დახმარების, ასევე მრავალი გარემოსდაცვითი თუ სოციალური პროექტების მხარადაჭერის მაგალითების (როგორც წარსულის, ისე თანამედროვე) და სარგებლის წარმოჩენა. ამ მიზნით, მომზადდა 4 ვიდეო და 4 ფოტო ისტორია, რომელთა პოსტებიც აქტიურად დავრცელდა საზოგადოებაში სოციალური მედიის მეშვეობით.

- იდეების აუქციონი
- ნიკა გოგოლაძე ხელი-ხელს
- ცოდნის კაფეს ასაშენებლად
- უკრაინისთვის
- გორის მიწისძვრა 1920
- ქალები გურიიდან
- ნათია ჩიქოვანის ამბავი
- ზურა ტატანაშვილის ამბავი

ამ კამპანიის თანმხლები ნაწილი იყო, მაისში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სტარ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული, ქრაუდფანდინგის კამპანიების მხარდასაჭერი საგრანტო კონკურსი. მისი მიზანი იყო იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქრაუდფანდინგის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის და/ან სოციალური ინიციატივებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებას. თავად, კონცეფცია შედარებით ახალია ჩვენი საზოგადოებისთვის,

შესაბამისად არც იყო გასაკვირი შემოსული განაცხადების მცირე რაოდენობა - 5, საიდანაც დასაფინანსებლად დამოუკიდებელი კომისიის მიერ შეირჩა ერთი განაცხადი. ეს გახლდათ სათემო ორგანიზაციის „სამოქალაქო ინიციატივა“ პროექტი, რომელიც შეეხებოდა თემში ცოდნისკაფის შენობის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხების მობილიზებას ქრაუდფანდინგის კამპანიის მეშვეობით. პროექტით დაგეგმილი იყო მინიმუმ 15 000 ლარის შეგროვება, თუმცა ბიზნესების და ადგილობრივი მოქალაქების აქტიური მხარდაჭერით მოგროვდა 24.000 ლარი.

ეს წელი გამორჩეული იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის პირველი იდეების აუქციონის ანუ ცოცხალი ქრაუდფანდინგის ღონისძიების (ე.წ. Giving Circle) წარმატებით ჩატარებით. მაისში, მწერალთა სახლის ისტორიულ შენობაში, სტარ პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა საქართველოში პირველი “<u>იდეების აუქციონი</u>”. მასზე, სამი სრულიად განსხვავებული ჯგუფისა და იდეისათვის, დაგეგმილი ანუ სამიზნე 15 000 ლარის ნაცვლად, 20 900 ლარი შეგროვდა. ღონისძიებას ესწრებოდა 98 მონაწილე, რომლებიც კერძო სექტორს, საერთაშორისო და ადგილობირც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მედია და სახელმწიფო სტრუქტურებს წარმოადგენდნენ. ღონისძიების მხარდამჭერები ასევე იყვნენ დაფინანსების საერთაშორისო ქსელი/ The Funding Network და ფრედერიკ მალდერის ფონდი/

the Friedrick Mulder Foundation.

აუქციონის ნომინანტებმა მიღებული მხარდაჭერით საკუთარი გეგმები წარმატებით განახორციელეს:

<u>დათას ეზო</u>

„დათას ეზოს“ მიზანია ქ. რუსთავის მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ზოგადად, ურბანული მებაღეობის ხელშეწყობა. დათას სურვილია საკუთარ ეზოში კეთილმოაწყოს საგანმანათლებლო სივრცე, გარემოსდაცვით თემებზე შეხვედრების, დისკუსიების და ლექციების რეგულარულად ჩასატარებლად. ახლაგაზრდები და სკოლის მოსწავლეები, ვინც შეწუხებულნი არიან ქ. რუსთავში ჰაერის ძლიერი დაბინძურებით და ცდილობენ გამოსავლის ძიებას, საკუთარ ადგილს, სწორედ დათას ეზოში იპოვნიან. ამ იდეის ხორცშესხმისათვის დათა საჭიროებდა ეზოს განახლებას და მიკროსკოპის შეძენას, მოსწვალე ახალგაზრდობისათვის საბუნებისმეტყველო გაკვეთილების ჩასატარებლად.

დათამ მიღებული თანხით მაღალი ხარისხის მიკროსკოპი და პროექტორი შეიძინა, ატარებს დაკვირვებებს და მასპინძლობს საგანმანათლებლო შეხვედრებზე ბავშვებს, საუბრობენ გარემოსდაცვით საკითხებზე, აწყობენ კინოჩვენებებს, მართავენ დისკუსიები და ა.შ.

იხილეთ ფოტოები

დიმელი ქალები

ჯგუფის „დიმელი ქალები“ მიზანია, რომ ხელი შეუწყონ დიმის თემის მოსახლეობის განათლებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

‘იდეების აუქციონზე’ შეგროვებული თანხით (5000 ლარით) დიმელმა ქალებმა, სოფლის ღია კინოთეატრისთვის ყველა საჭირო ინვენტარი შეიძინეს და კინოჩვენებებს აგერ უკვე მეორე წელია ანშლაგით ატარებენ. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა კინოთეატრისთვის საჭირო დიმანიკებიც სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ჯგუფს.

კინოჩვენების მზადებაში მთელი სოფელი არის ჩართული და ჩვენებას მთელი რაიონიდან ჩამოსული, სრულიად სხვადასხვა ასაკის ადამიანები ესწრებიან.

იხილეთ ფოტოები

ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი

ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი, არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია ახალციხიდან, რომელმაც ‘იდეების აუქციონზე’ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მშობლების მეტი ინფორმირებულობისა და განათლებისთვის მხარდაჭერა მოიპოვა.

ორგანიზაციის ამოცანა გახლდათ, აუტიზმის სპექტრის მქონე (და არა მხოლოდ) ბავშვებისთვის არსებული სერვისების გაუმჯობესება და გაფართოვება. ენობრივი ბარიერი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი, მენტალური პრობლემის მქონე ბავშვებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევაა. სწორედ, მიღებული მხარდაჭერის წყალობით ორგანიზაციამ შესძლო სომხურენოვანი თერაპევტის გადამზადება და ბავშვების უფრო სრულყოფილად მომსახურება.

ორგანიზაციამ სამივე მუნიციპალიტეტის სოფლებში, საბავშვო ბაღების ბაზაზე შეხვედრების ციკლი ჩაატარა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ბავშვთა ადრეული განვითარების ეტაპები; რა ასაკიდან იწყებენ ბავშვები მეტყველება-კომუნიკაციას - რა არ უნდა გამოეპაროს მშობელს; აუტიზმი - მისი ადრეული ნიშნები და მართვის საშუალებები.

იხილეთ ფოტოები

ამავე მიმართულების ქვეშ, გაგრძელდა **სათემო ფონდების** კონცეფციის პოპულარიზაცია და მისი ინიცირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება თელავის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. თელავში სათემო ფონდის

საინიციატივო უფრო კონკრეტულად, ამ იდეით დაინტერესებული ჯგუფების მოძიების მიზნით, ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა თელავის ადგილობრივ მოსახლეობასთან (ჯამში 25-მდე მონაწილე), და დაანონსადა საინიციატივო ჯგუფის ინტერესის გამოხატვის კონკურსი. შედეგად შეირჩა ჯგუფი, რომელთანაც შემდგომში გაგრძელდა მუშაობა. ლაგოდეხში კი - 3 თვიანი საკომუნიკაციო კამპანიის და დაინტერესებულ ახალგაზრდებთან ინდივიდუალური კომუნიკაციის შედეგად ჩამოყალიბდა 3 წევრისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.

ლაგოდეხისა და თელავის ჯგუფების დაკომპლექტების შემდეგ, ორივე ჯგუფთან ჩატარდა 4 ონლაინ შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო მისი წევრების ცოდნის ამაღლება სათემო ფონდების კუთხით, გარდა ამისა პრაქტიკული მუშაობა პროექტის წერის და იდეების აუქციონის ჩატარების პრინციპების შესახებ.

ამავე პერიოდში, CSRDG-ს პროექტის გუნდმა შეაჯამა ორივე რეგიონში მიმდინარე პროცესები და გამოკვეთა ამ ჯგუფების მხარდაჭერის ახალი მიდგომა. ახლებურმა მიდგომამ მისცა შესაძლებლობა ახლად ფორმირებულ ჯგუფებს, წარმოედგინათ თავიანთ მუნიციპალიტეტბში მინი იდეების აუქციონის ჩატარების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები. წარმატებით განხორციელებული საპილოტე ინიციატივის შემდეგ კი შერჩეულ ჯგუფებს მიცემათ შესაძლებლობა ჩაერთონ ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ სათემო ფონდების მხარდაჭერის გრძელვადიან ციკლში. ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების დამტკიცების და ფინანსური მხრადაჭერის კვალდაკვალ, ორივე რეგიონმა აქტიურად დაიწყო წარმოდგენილი საცდელი პროექტის განხორციელება. ჯგუფებთან ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები (5 შეხვედრა) გრანტის ადმინისტრაციულ მართვაზე, ფინანსური დოკუმენტების მომზადებასა და ანგარიშგების პროცედურებზე, ასევე პროექტის ხილვადობაზე, ონლაინ საგრანტო განაცხადების მომზადებასა და სოციალური მედიისთვის განკუთვნილი მასალების დიზაინის შექმნაზე.

პირველ ეტაპზე ჯგუფების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიზნობრივი ჯგუფების ბაზის სრულყოფა, მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში სათემო ფონდის მიმართ განწყობა-დამოკიდებულების კვლევა, მოსახლეობაში იდეების გენერირება და აუქციონის დაანონსება, მხარდამჭერი ადამიანების და სხვადასხვა ორგანიზაციების/ბიზნესების გამოკვეთა.

ლაგოდეხის ჯგუფის მიერ გამოცხადებული კონკურსი დეკემბერში დასრულდა და კონკურსისთვის შექმნილი სპეციალური საბჭოს მიერ, აუქციონზე გასატანი სამი გამარჯვებული იდეა გამოვლინდა. იგივე პროცესი თელავში და თავად აუქციონების ჩატარება 2023 წლის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხელს ვუწყობთ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მუშაობა 1998 წლიდან დავიწყეთ.

მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საშუალებას აძლევთ გაიუმჯობესონ ორგანიზაციის მართვის სისტემები, თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას შესთავაზონ ხარისხიანი მომსახურება და რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყონ ორგანიზაციის ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა.

აქტივობები

ზოგადად, პროექტის აქტივობები განაწილებულია CSRDG-ის სხვადასხვა პროგრამებზე. თუმცა, ყველა აქტივობა და მიღწეული შედეგი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. საერთო ჯამში, 2022 წლის განმავლობაში, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნით, CSRDG პროგრამის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა არაერთი სემინარი, ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა.

ჯამური მაჩვენებელი:

- 57 ტრენინგი; სამუშაო შეხვედრები; სემინარები.
- 1275 მონაწილე (მათ შორის 322 –მამაკაცი; 933-ქალი);

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა

„ბენეფიციარები არ არიან უცხო, მოწყვლადი ადამიანები ან ჯგუფები, ბენეფიციარები ვართ თითოეული ჩვენგანი, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სხვადასხვა გარემოების გამო ვხვდებით მოწყვლად მდგომარეობაში და გვჭირდება ღირსების და სხვა უფლებების დაცვით მხარდაჭერა.“ - ზურაბ ტატანაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი.

2019 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით, ორგანიზაციამ **დაიწყო ფართომასშტაბიანი სამწლიანი პროექტი „უფლებაზე დაფუძნებული სოციალური სერვისების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთათვის“**. პროექტთან ერთად ორგანიზაციაში გაჩნდა ახალი, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა, რომლის **მიზნია,** საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული ისეთი სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილია მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სოციალური მომსახურება არ არის ქველმოქმედება, არამედ ის არის ჯანსაღი, დემოკრატიული, სოლიდარული და მხარდამჭერი საზოგადოების ყველა წევრის უფლება. ის განიხილავს სოციალური მომსახურების მიმღებებს როგორც **„უფლების მქონეებს“** ხოლო მთავრობას და მომსახურების მიმწოდებლებს, როგორც **„უფლების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ“** მხარეებს.

უფლებებზე დაფუძნებული მომსახურება იგეგმება, ხორციელდება და ფასდება შემდეგი ექვსი ძირითადი სტანდარტის მიხედვით: 1. უფლებების განხორციელების ხელშეწყობა, 2. თანამონაწილეობა, 3. ინდივიდუალური შედეგები, 4. უკუკავშირი, 5. მომსახურების ხელმისაწვდომობა და 6. მომსახურების მართვა. ყველა მიმართულება მიზნად ისახავს ბენეფიციარის კონკრეტული უფლების რეალიზების ხელშეწყობას და გამოკვეთს მომსახურების მიმწოდებლის როლს ამ უფლების განხორციელებაში.

მიმართულების ძირითადი საქმიანობები

- სოციალური მომსახურების მიმწოდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება მათი სოციალური სერვისების შემუშავების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით
- შესაბამისი პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება

„სოციალური მომსახურების მიმწოდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება მათი სოციალური სერვისების შემუშავების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით“ ფარგლებში შესრულებული საქმიანობები:

პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა უფლებებზე დაფუძნებული **სოციალური მომსახურების დანერგვა და პილოტირება საქართველოს 7 მუნიციპალიტეტში, 8 სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ**. მათ შორის 5 ორგანიზაცია მომსახურებას უწევს შშმ პირებს და ბავშვებს, ხოლო 3 უფროსი თაობის ადამიანებს. შეიქმნა უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასებისთვის საჭირო *სხვადასხვა ინსტრუმენტი და სახელმძღვანელო*, მათ შორის, მომსახურებაში ხარისხის მართვის სახელმძღვანელო შესაბამისი ინდიკატორებით და ინსტრუმენტებით, შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო, უკუკავშირის და მასზე რეაგირების ფორმები, შეზღუდვის დოკუმენტი და ა.შ.. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარებისთვის შექმნილი პაკეტები (შშმ პირების და ბავშვების და უფროსი თაობის ადამიანების მომსახურებებისთვის) ღია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

გარდა ორგანიზაციული პროცედურებისა, პროგრამის ფარგლებში, დადგენილი საჭიროებების შესაბამისად ხდებოდა მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამშრომლების გადამზადება/კონსულტირება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ რეგიონებში

სხვადასხვა სპეციალისტის ნაკლებობიდან გამომდინარე, ხდებოდა თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან სპეციალისტების ჩართვა, არამხოლოდ ფიზიკურად არამედ დისტანციურადაც. სხვადასხვა ქალაქებიდან ჩართული სპეციალისტები ეხმარებოდნენ მომსახურების უშუალო მიმწოდებელ სპეციალისტებს პროფესიული რჩევებით და კონსულტაციებით. ორგანიზაციების ნაწილში ასევე დაინერგა პროფესიული სუპერვიზიის კომპონენტი.

მომსახურების მიმწოდებელ პარტნიორ და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებთან რეგულარულად ეწყობოდა ერთობლივი და თემატური *საკოორდინაციო შეხვედრები*. შეხვედრებზე მონაწილეები ერთმანეთს უზიარებდნენ ცოდნას და გამოცდილებას, ღიად საუბრობდნენ გამოწვევებზე და ამ გამოწვევების შესაძლო გზებზე. ერთობლივ შეხვედრებზე ხდებოდა არსებული რესურსების უფრო ხარჯთეფექტურად გამოყენების შესაძლებლობების განხილვა.

გარდა საკოორდინაციო შეხვედრებისა, პროგრამის გუნდი ახორციელებდა *მხარდამჭერ მონიტორინგს*, რომლის მიზანია მიღწევების და გამოწვევების დროული აღმოჩენა და გამოწვევების დაძლევის გზების ერთობლივი ძიება. მხარდამჭერი მონიტორინგი ღია და თანამშრომლობითი პროცესია და არ არის დასჯაზე ორიენტირებული. ამ მიზნით, პროგრამა ახორციელებდა მიმდინარე საქმიანობების შესახებ დისტანციურად ინფორმაციის შეგროვება-ანალიზს, ისე მხარდამჭერ შეხვედრებს პარტნიორ და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებთან. დისტანციური მხარდაჭერის გარდა, პროგრამის გუნდმა აღნიშნულ 8 ორგანიზაციაში განახორციელა მიმდინარე საქმიანობების და მომსახურების ხარისხის მხარდამჭერი ვიზიტები, რომლის დროსაც ორგანიზაციებს გაეწიათ კონსულტაცია საჭირო საკითხებზე. შედეგებზე დაყრდნობით ასევე დაიგეგმა და განხორციელდა დამატებითი ტრენინგ-კონსულტაციები სხვადასხვა თემაზე.

2022 წლის მანძილზე პროგრამის მხარდაჭერით მომსახურება მიიღო სულ 204-მა მოსარგებლემ, მათ შორის 137 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და 67 უფოსი თაობის ადამიანმა (60+).

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრთან, Hilfswerk International-ის სარაევოს ოფისთან, „HAJDE დახმარებისა და განვითარების ასოციაციასთან“, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-სთან, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“-სთან პარტნიორობით Hilfswerk International ახორციელებს პროექტს *„მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში“*. პროექტის ფარგლებში ხდება როგორც შინ მოვლის ისე აქტიური დაბერების დღის მომსახურების დანერგვა და განვითარება. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის როლი აღნიშნულ პროექტში არის მხარდაჭერის სახლის ორგანიზაციული გაძლიერება, ბიზნეს მოდელების და მომსახურების პაკეტების დაგეგმვა.

შესაბამისი პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება

შეიქმნა **უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების სტანდარტი**. დოკუმენტი შეიქმნა როგორც ქოლგა სტანდარტი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ყველა სოციალური მომსახურების ხარისხის მართვის რეგულაცია. მომსახურების სტანდარტის შექმნა მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან მჭიდრო კოორდინაციით. პირველი სამუშაო ვერსიის განხილვა, *ოთხი დისტანციური შეხვედრის ფორმატში*, მოხდა შშმ პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების და მოსარგებლეთა ჯგუფების წარმომადგენლებთან. დოკუმენტში მათი შემოთავაზებული ცვლილებების შეტანის შემდეგ, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაზე მოხდა სტანდარტების საბოლოო ვერსიის და მისი განხორციელების პერსპექტივის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, ჯანდაცვის სამინისტროს და ზრუნვის სააგენტოს, პარლამენტის და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. პროგრამის ფარგლებში 2022 წლის მეორე მრგვალი მაგიდა კი მიეძღვნა სტანდარტების ამოქმედებისთვის შემდგომი ნაბიჯების განხილვას.

2022 წლის 19 ოქტომბერს, პირველად საქართველოში, ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა **უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების ეროვნული კონფერენცია**, რომლის მიზანიც იყო შშმ პირებისა და ხანდაზმულებისთვის სოციალური მომსახურების გაუმჯობესებისთვის შექმნილი ინოვაციური და საქართველოს რეალობისთვის უნიკალური მიდგომის წარდგენა. კონფერენციაზე განიხილეს საქართველოში სოციალური მომსახურების სფეროს განვითარების პერსპექტივები, უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების უპირატესობები და ამ მიმართულებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება. კონფერენცია გახსნეს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, ავსტრიის განვითარების სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებმა. ღონისძიებას დაესწრნენ წარმომადგენლები სახელმწიფო უწყებებიდან, სამოქალაქო სექტორიდან, სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებიდან, ასევე სფეროში ჩართული სხვადასხვა პროფესიონალები და მომსახურების მოსარგებლეები (სულ 76 მონაწილე). კონფერენციის ფარგლებში, სფეროში ჩართული მხარეებმა ხელი მოაწერეს **დეკლარაციას,** რომლის მიზანია უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების

განვითარება და მისი ფართოდ დანერგვის ხელშეწყობა. კონფერენციაზე ასევე გაიმართა მსგავსი მომსახურებით მოსარგებლეთა წარმატების ფოტო-ისტორიების პრეზენტაცია.

2021 წელს განვითარდა **საკითხავი მასალა** (147 გვერდი) სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 4 საგნისთვის. აღნიშნული საგნები 2022 წელს 290-მა სტუდენტმა გაიარა. ბეჭდური სახით სახელმძღვანელოები გადაეცათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, სახელმძღვანელოს ავტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ყველასათვის.

გამოიცა უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებით მოსარგებლეთა **ფოტო ისტორიები**, რომლებიც ნათლად ასახავს თუ რა უპირატესობები აქვს ამ მიდგომას მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში.

წინა წლების მსგავსად, გაგრძელდა სოციალურ მუშაკთა გაერთიანების ორგანიზაციული გაძლიერება. გარდა ამ კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაო შეხვედრების და კონსულტაციებისა, გაერთიანებამ, პროგრამის ფინანსური და ექსპერტული მხარდაჭერით განახორციელა სოციალური მუშაობის შესახებ კანონის აღსრულების სამოქმედო გეგმის მიღწევების და გამოწვევების კვლევა და საადვოკაციო კამპანია. მსგავსი სამწლიანი ანგარიშებით შეიქმნა კანონის აღსრულების პროგრესის შესახებ მტკიცებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მომავალში ამ დოკუმენტის სრულად ამოქმედებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამა, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის სოციალური მომსახურების პოლიტიკაში და პრაქტიკაში ინტეგრირების მიზნით მუშაობს ახალი სახელმწიფო სტრატეგიების და მომსახურებების შემუშავების მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კოორდინირებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიან საკოორდინაციო საბჭოში" და მის ორ კომიტეტში: "დეინსტიტუციონალიზაციისა და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი " და "შშმ პირებისთვის სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის ხელშემწყობი სოციალური მომსახურებების განვითარების, ხარისხის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმის გაუმჯობესების ხელშეწყობის კომიტეტი". კომიტეტებმა იმუშავეს როგორც სტრატეგიებზე და სამოქმედო გეგმებზე (მაგ. დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა), ისე ისეთი პროგრამების შექმნაზე როგორიცაა პერსონალური ასისტენტის პროგრამა, შინ მოვლის პროგრამა და ა.შ. აღსანიშნავია რომ საბჭო, პროგრამების შემუშავების პარალელურად, მუშაობს ხარისხის კონტროლის მექანიზმების განვითარებაზე, მათ შრის ახალი პროგრამების სტანდარტებზე.

პროგრამის გუნდი აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან რომლებიც უწევენ მომსახურებას მოსარგებლეებს ან/და ჩართულნი არიან საადვოკაციო საქმიანობაში.

პროგრამის ძირითადი მიღწევები:

- ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების კვლევა;
- შეიქმნა და გამოიცა ხანდაზმულთა და შშმ პირთა სოციალური მომსახურების შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების პაკეტები: ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო, შეზღუდვის დოკუმენტი, სხვადასხვა ინსტრუმენტები და ორგანიზაციული სახელმძღვანელოები;
- სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციების 57 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგები უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების დაგეგმვის, მიწოდების და შეფასების შესახებ.
- 7 მუნიციპალიტეტში მოხდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პილოტირება. სოციალური მომსახურების მიმწოდებელ 8 ორგანიზაციას გაეწია მხარდამჭერი მონიტორინგი.
- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ინტეგრირდა სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, შეიქმნა საკითხავი მასალა;
- განხორციელდა სოციალური მუშაობის აღსრულების მონიტორინგი და საადვოკაციო კამპანია, გამოიცა 3 ჩრდილოვანი ანგარიში;
- შეიქმნა და გამოიცა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო სტანდარტი.
- ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პირველი ეროვნული კონფერენცია.

წარმატებული ქეისი:

პროგრამის ძირითადი წარმატებაა ის ქვეყანაში რომ შექმნა უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების უნიკალური ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომია.

ბოლო სამი წლის მანძილზე და განსაკუთრებით 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მოხდა თემის აქტუალიზაცია და დისკუსიის პოლიტიკის დონეზე ატანა. პროგრამის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა მასალა გამოიყენება ქვეყანაში სოციალური მომსახურების პროგრამების და მათი სტანდარტების დაგეგმვისას. სოციალური მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა დაიწყეს უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებებისთვის შექმნილი სხვადასხვა მასალის გამოყენება.

სხვადასხვა საგანში შეტანილი საკითხავი მასალის შედეგად, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის და ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტები

ყოველწლიურად სწავლობენ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან დაკავშირებულ საკითხებს. სოციალური მუშაკებისთვის აღნიშნული მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ მიდგომით არის შესაძლებელი მოსარგებლეების სოციალური ფუნქციონირების ამაღლება და მათი უფლებების დაცვა, რაც ამ პროფესიის მთავარი მიზანია. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის აღსრულების სამი წლის ანგარიშებმა კი შექმნა მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები კანონის საბოლოოდ ამოქმედებისთვის.

ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური მეწარმეობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

<u>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)</u> - CSR კონცეფცია და პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას ყველა სექტორში. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გაიაზრონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

<u>სოციალური მეწარმეობა (SE)</u> – სოციალური მეწარმეობის, როგორც ახალი მიდგომის განვითარება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიისთვის, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად. სოციალური მეწარმეობით შესაძლებელია სოციალური პრობლემების დაძლევა, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესების ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისთვის მთავრობაში არ არის საკმარისი რესურსი.

<u>მომხმარებელთა უფლებების დაცვა</u> - ეფექტურად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები. ბიზნესი უფრო პასუხისმგებელია მომხმარებლების მიმართ, ხოლო მოქალაქეები, როგორც მომხმარებლები, უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. საქართველოში CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სექტორის ინფორმირების მიზნით ცენტრი ატარებს კვლევებს, საკომუნიკაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმებს და კონფერენციებს, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიასთან.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora

ეროვნული მასშტაბის კონკურსი, რომელიც CSRDG-ის მიერ 2018 წელს დაფუძნდა, აჯილდოებს საქართველოში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს მათ მიერ განხორციელებული საუკეთესო პროექტებისა და ინიციატივებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სფეროში.

კონკურსი, რომელშიც დაარსებიდან 90-მდე კომპანიამ, 200-ზე მეტი CSR პროექტით მიიღო მონაწილეობა, მიზნად ისახავს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და პოპულარიზაციას. ასევე, კომპანიების წახალისებას, დანერგონ საკუთარ საქმიანობაში CSR პრინციპები და მიდგომები, გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის.
კონკურსი ყოველწლიურად კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნეს ასოციაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი საექსპერტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს. 2022 წელს კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ: აწარმოე საქართველოში; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია; იტალიის საელჩო საქართველოსი; შვეიცარიის საელჩო საქართველოში; ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA); ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სააგენტო (SARAS); ბიზნეს საქართველო; გაეროს ქალთა ორგანიზაცია; გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV); ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC); ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA); ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია; საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC); საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია; საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატა; საქართველოს ტურიზმის ასოციაცია; საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება; საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

ძირითადი მიღწევები:

- 2022 წლის კონკურსში განაცხადების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, მასში 60-მა კომპანიამ 88 განხორციელებული პროექტით მიიღო მონაწილეობა. ეს ფაქტი კონკურსის მზარდ პოპულარობაზე და კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებაზე მეტყველებს.

- 2022 წლის კონკურსს დაემატა მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი მხარდამჭერი ორგანიზაცია და ბიზნეს ასოციაცია, რომელთა თანამშრომლობითაც გაიმართა კონკურსი.

CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი

2022 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) ორგანიზებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი დაფუძნდა. CSR ფორუმი, რომელიც სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლების მიერ დაფუძნდა, CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე დიალოგისა და თანამშრომლობის უნიკალურ პლატფორმას ქმნის.

სასტუმრო „პულმან თბილისში“ გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, ფორუმის დაარსებას ხელი მოაწერეს კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ბიზნეს ასოციაციებმა, საგანმანათლებლო/აკადემიური დაწესებულების და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებმა. CSR ფორუმის დაფუძნება საქართველოში CSR-ის განვითარებისა და მისი ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებისკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ძირითადი მიღწევები:

- ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებული CSR ფორუმი პირველი გაერთიანებაა საქართველოში, რომელშიც გაწევრიანდნენ სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები და რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებას.

CSR-ის მხარდამჭერი სახელმწიფო ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, მიმდინარე პროექტის ‘სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის’ ფარგლებში, CSRDG მიზნად ისახავს საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებასა და მისი ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას, კერძოდ კი CSR-ის მხარდამჭერი ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობას.

2022 წელს, CSRDG-იმ მოცემული მიზნის განსახორციელებლად, ქართველი და ევროპელი ექსპერტებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელმაც უკვე დაიწყო CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო ჩარჩო-პოლიტიკის დრაფტის/რეკომენდაციების შემუშავება და ადვოკატირება.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ჰაბი CSRDG-ის შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც ერთ სივრცეშია თავმოყრილი მრავალმხრივი, სრული, უახლესი ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების და პასუხისმგებელი ბიზნესის შესახებ როგორც გლობალურად, ისე საქართველოში.

ეს ერთადერთი საინფორმაციო ვებპორტალია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და კორპორაციული მდგრადობის შესახებ. ის მრავალფეროვან რესურსებს გთავაზობთ ამ კომპლექსურ თემაში ნავიგაციისათვის.

ვებგვერდის მიზანია ინფორმაციისა და რესურსების გაზიარებით ხელი შეუწყოს ცოდნის გავრცელებას, CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციას ბიზნეს სექტორსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, ასევე მდგრადი განვითარების პრინციპებისა და პასუხისმგებელი ბიზნესის პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოში.

გარდა იმ მნიშვნელოვანი რესურსისა რომელსაც ვებგვერდი მუდმივად მოიცავს, მასზე ვრცელდება სტატიები კორპორაციული პასუხისმგებლობის გარშემო მიმდინარე სიახლეების შესახებ როგორც ლოკალურად, ასევე გლობალურად. 2022 წელს ვებგვერდზე გაზიარდა 20 სიახლე.

ძირითადი მიღწევები:

- 2022 წლის განმავლობაში საიტს 4000-მდე ვიზიტორი ჰყავდა ვინც გაეცნო კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ ამა თუ იმ საკითხებს და გაიღრმავა ცოდნა ამ მიმართულებით.

პრო ბონო მიმართულება

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

კომპანიებისათვის პრო ბონო სერვისები, მათი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, კერძოდ კი, თანამშრომელთა მოხალისეობის (კორპორაციული მოხალისეობის) ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

პრო ბონო სერვისები კერძო სექტორის ექსპერტიზასა და ინტელექტუალურ რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის. ამ გზით კომპანიები ეხმარებიან საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომელთა ინტერესებსაც ემსახურება და გამოხატავს ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია.

"საქართველოს პრო ბონო ქსელი" წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იმ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების

გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ. საქართველოს პრო ბონო ქსელის მიზანია კომპანიათა ექსპერტიზის ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში.

"საქართველოს პრო ბონო ქსელი" ოფიციალურად დაარსდა 2015 წლის ოქტომბერში "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" ინიციატივით ფონდ MitOst e.V., ფონდ BMW Herbert Quandt-ისა და ფონდ Taproot-ის თანადგომით.

ამჟამად ქსელში გაწევრიანებულია 22 კომპანია, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ - https://bit.ly/39LewpX

პრო ბონოსა და საქართველოს პრო ბონო ქსელის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე: www.probonogeorgia.ge

საქართველოს პრო ბონო ქსელის საკომუნიკაციო კამპანია

საქართველოს პრო ბონო ქსელის პოპულარიზაციის მიზნით, CSRDG-ისა და ქსელის წევრ კომპანიების მონაწილეობით ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც მოიცავდა აქტიურ კომუნიკაციას ქსელისა და მისი მიღწევების შესახებ როგორც CSRDG-ის სოციალურ ქსელებში, ასევე ქსელის წევრთა სოციალურ ქსელებში, მედია საშუალებებსა და სხვა ხერხებით.

ქსელის საქმიანობის შესახებ მომზადდა ინფოგრაფიკა, სხვადასხვა საინფორმაციო პოსტები, სტატიები და პრეს-რელიზი რომელიც აქტიურად ზიარდებოდა კამპანიის ფარგლებში.

ძირითადი მიღწევები:

- კამპანიის დაგეგმვაში ჩართული იყვნენ ქსელის წევრი კომპანიების წარმომადგენლები, რომლებმაც თავის მხრივ წვლილი შეიტანეს პრო ბონო საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში;
- საკომუნიკაციო კამპანია გაზიარდა სხვადასხვა კომპანიების, მედიისა და სამოქალაქო სექტორის მიერ, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში პრო ბონო საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პრო ბონო მედიაციები

2022 წელს, საქართველო პრო ბონო ქსელისა და მისი პარტნიორების მხარდაჭერით ჩატარდა 26 პრო ბონო მედიაცია.

პრო ბონო მხარდაჭერა იყო და ჯერ კიდევ რჩება წინ გადადგმულ ნაბიჯად სამოქალაქო სექტორის განვითარებისაკენ, რადგან პრო ბონო მედიაციის ფარგლებში შექმნილი საკომუნიკაციო გეგმით, ახალი ბრენდინგით, სამოქალაქო ორგანიზაციებმა შეძლეს უფრო მეტ ბენეფიციარს მისწვდომოდნენ, შეექმნათ საკომუნიკაციო პლატფორმები, მოეხდინათ ახალი სერვისების ინტეგრირება საკუთარ საქმიანობაში და სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, კონტაქტები გაეღრმავებინათ კერძო სექტორთან.

ამასთან ერთად, სოციალურმა საწარმოებმა შეძლეს საკუთარი პროდუქცია უცხოურ ბაზარზე გაეტანათ, გაეზარდათ გაყიდვები, მოეხდინათ სერვისებისა და პროდუქციის რებრენდინგი და ეს ყველაფერი სრულიად უსასყიდლოდ განეხორციელებინათ.

სოციალურ საწარმოთა მენტორობა

პრო ბონო ქსელის წევრებმა და პარტნიორმა კომპანიებმა საოცრად მასშტაბური პროექტი განახორციელეს, რაც სოციალური საწარმოების B2B გამოფენისთვის მომზადებაში დახმარებას გულისხმობდა. პრო ბონო კონსულტაციებში ჩართული იყო 27 კომპანია, მათ შორის პრო ბონო ქსელის წევრი 7 ბიზნეს კომპანია.

კონსულტაციები აგვისტოში დაიწყო, რათა სექტემბრის ბოლოს დაგეგმილი გამოფენისთვის სოციალურ საწარმოებს ჰქონოდათ მზად ბიზნეს შეთავაზება, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ინფორმაცია საწარმოს შესახებ, მათი მთავარი გზავნილი/ები, მოკლე საკომუნიკაციო ტექსტი პოტენციურ პარტნიორებთან, სამიზნე კომპანიების შერჩევა, კომუნიკაცია და მათთვის რელევანტური/ინდივიდუალური შეთავაზების მომზადება.

ჯამში პრო ბონოდ 27 ბიზნეს კომპანიამ 47 სოციალურ საწარმოსთან 100-ზე მეტი შეხვედრა განახორციელა, გაწია 300-ზე მეტი პრო ბონო საკონსულტაციო საათ, მოამზადა 30-ზე მეტი ბიზნეს შეთავაზება.

პრო ბონო ქსელი სათემო ორგანიზაციების მხარდასაჭერად

2022 წლის, ოქტომბერსა და ნოემბრის თვეში პრო ბონო მედიაციის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომელიც ხუთ ბიზნეს კომპანიასა და ხუთ სამოქალაქო აქტივისტს აერთიანებდა. მედიაციის პროცესი კონკურსის "საუკეთესო სათემო ინიციატივა" ნომინანტების მომზადებას გულისხმობდა. კონკურსი ყოველწლიური ღონისძიების, „სათემო ლიდერთა ფორუმი"-ს შემადგენელი ნაწილია, რომელსაც 2015 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი მართავს.
სამოქალაქო აქტივისტები, დამსწრე საზოგადოების წინაშე მათ მიერ განხორციელებული ინიციატივებით წარდგნენ. პრო ბონო ქსელის წევრი და მეგობარი კომპანიის წარმომადგენლები კი დაეხმარნენ საინტერესო აქცენტების გამოყოფასა და პრეზენტაციების ორიგინალური ხერხით წარმოჩენაში.

პროგრამის ზოგადი მიღწევები 2022 წელს:

- მეოთხედ გამოცხადდა 'საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora';
- დაფუძნდა CSR-ით დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი;
- შეიქმნა CSR-ის ხელშემწყობ სახელმწიფო ჩარჩო დოკუმენტზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფი;
- მომზადდა არაერთი სატელევიზიო და რადიო გადაცემა პროგრამის საქმიანობის შესახებ;

- ონლაინ და ბეჭდურ გამოცემებში დაიბეჭდა სტატიები CSR-ისა და პროგრამის შესახებ;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანია საქართველოს პრო ბონო ქსელისა და მისი საქმიანობის შესახებ;
- გამოქვეყნდა ბლოგები პროგრამის ფარგლებში შექმნილ csrblog-ზე;
- ჩატარდა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრები პრო ბონო მედიაციის ფარგლებში.

წარმატებული ქეისი:

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ (CSRDG) 2022 წელს **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი დააფუძნა.** CSR ფორუმი სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლების მიერ დაფუძნდა და ის CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე დიალოგისა და თანამშრომლობის უნიკალურ პლატფორმას ქმნის.

ფორუმი უნიკალურია, რადგან მის დაარსებას ხელი მოაწერეს და შესაბამისად შეთანხმდნენ რომ CSR-ის შესახებ ერთობლივად იმუშავებენ კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, საგანმანათლებლო/აკადემიური დაწესებულები და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები. CSR ფორუმის დაფუძნება საქართველოში CSR-ის განვითარებისა და მისი ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებისკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარების კვალდაკვალ სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს კორპორაციული პასუხისმგებლობის/პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო დონეზე. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობის მთავრობა ახორციელებს CSR-ის მხარდამჭერ აქტიურ პოლიტიკას. ასევე, გავრცელებული პრაქტიკაა სამივე სექტორის მონაწილეობით საკონსულტაციო ორგანოების - CSR-ის ფორუმების თუ პლატფორმების დაფუძნება, რომლებიც პოლიტიკის ფორმირებაში სხვადასხვა სექტორის ჩართულობას უწყობს ხელს. საქართველოში CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი სწორედ ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით დაფუძნდა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა ცენტრის სტრატეგიული პრიორიტეტია 2009 წლიდან სოციალური მეწარმეების მხარდაჭერით ჩვენ შეგვაქვს წვლილი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების მდგრადი, სამეწარმეო გზით მოგვარებაში;

ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო, კერძო და სახელისუფლებო სექტორებთან კონცეფციის განვითარებისთვის, რადგან გვჯერა რომ სოციალური მეწარმეობა არის ეფექტური ინსტრუმენტი სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, და საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

პროგრამის მიზანია:

მიზნის მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ ორი სტრატეგიული მიმართულებით:

1. საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
2. სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

2022 წელს განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები:

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობისთვის საქმიანობები მოიცავს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მორგებულ მექანიზმებს მოქმედი და დამწყები სოციალური საწარმოებისთვის.

მხარდაჭერის პროგრამაში საწარმოთა შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება. შერჩეულ საწარმოებთან პროგრამის გუნდი 2-4 წლის მანძილზე მუშაობს.

2022 წელს პროგრამის ფარგლებში ვიმუშავეთ 22 საწარმოსთან. მათგან 3 დამწყები და 4 მოქმედი საწარმო შერჩეული იყო წინა წლებში, ხოლო 15 საწარმოსთან (9 დამწყები და 6 მოქმედი) საქმიანობა 2022 წელს დავიწყეთ.

- სამიზნე სოციალური საწარმოების შერჩევა

დამწყები სოციალური საწარმოების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა ორჯერ. შერჩევის ციკლი შემდეგია:



ფინანსური მხარდაჭერა მიიღო შემდეგმა საწარმოებმა: (მსგავსი ცხრილი აქვს ნინოსაც სათმოებთან. ერთი და იგივე ტიპის ცხრილი უნდა გავაკეთოთ)

#	საწარმო	პროექტის აღწერა	წელი
1	*პროფესიო*	სოციალური კაფე-ბარი „პროფესიო“ არის სოციალური სივრცე, რომლის მისიაა მრავალშვილიანი ოჯახების წევრების დასაქმებისა და კარიერის განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე, პროფესიო შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს გაიუმჯობესონ სოციალური უნარები, მიიღონ ცოდნა და გამოცდილება აქტუალურ საკითხებზე და აღმოაჩინონ გართობის მრავალფეროვანი შესაძლებლობები.	2022
2	*სტემ სფეისი*	„სტემ სფეისის“ მისიაა ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და STEM მიმართულების პოპულარიზაცია LEGO განათლების კურსების განხორციელების გზით. სოციალური საწარმო მუშაობს სკოლის მოსწავლეებთან, განსაკუთრებით გოგონებთან, STEM უნარების განვითარების მიმართულებით, რაც მათ სამომავლოდ მნიშვნელოვნად დაეხმარება ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე თავის ღირსეულად დამკვიდრებაში.	2022
3	*არჩივი*	„არჩივი“ ქმნის დასაქმების, პროფესიული და პიროვნული განვითარების ინკლუზიურ გარემოს ახალგაზრდებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. სოციალური კაფე ხელს უწყობს ახალგაზრდებს თვითრეალიზაციასა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებაში, რაც თავის მხრივ, რეგიონის განვითარების საწინდარია.	2022

4	*ტექგოგო*	სოციალური საწარმოს მისიაა ქვემო ქართლში მცხოვრები ქალებისა და გოგონების, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების, ეკონომიკური გაძლიერება ციფრული განათლების მიწოდებითა და დასაქმების გზით. ციფრულ პროფესიებში გადამზადებულ გოგონებს „ტექგოგო“ ასაქმებს, როგორც თავის მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებულ სარეკლამო სააგენტოში, ისე სხვა პარტნიორ კომპანიებში.	2022
5	*ნებულა*	„ნებულას“ მისიაა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლება ზოგადი განათლების საგნებში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ხარისხიანი სასწავლო რესურსების მიწოდების გზით. სოციალური საწარმო ქმნის ციფრული განათლების პლატფორმას, რომელიც ხელმისაწვდომია მთელი საქართველოს მასშტაბით - ყველგან, სადაც ინტერნეტია.	2022
6	შემოქმედებითი ტურები	სოციალური საწარმო „შემოქმედებითი ტურების“ მისიაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების სამეწარმეო უნარების გაძლიერება და შრომით ბაზარზე ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა. საწარმო ვიზიტორებს სთავაზობს მრავალფეროვან ტურისტულ მომსახურებას და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლების პროფესიული უნარების გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ტურიზმის სექტორში დასაქმებისთვის.	2022
7	*კომლი*	„კომლის” მისიაა კასპის მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობა ისეთი სათემო სივრცის შექმნით, სადაც შესაძლებელია ფიქრი, დაკვირვება, კვლევა, მუშაობა და ახალი ცოდნის თანაშექმნა. კომლი ცოდნის მიღებას ხელმისაწვდომს ხდის იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, მხარს უჭერს სათემო ინიციატივებს, აძლიერებს ადგილობრივ მეწარმეებს და ახალგაზრდებს. კომლში შესაძლებელია ისეთი მომსახურების მიღება, როგორიცაა: ღამისთევა ჰოსტელში, შეხვედრების სივრცე, ქეითერინგი, ღია კაფე, საგანმანათლებლო პროგრამები და სხვ.	2022
8	*ლატლიიშდ*	სვანეთში, სოფელ ლატალში, შექმნილი სოციალური საწარმო, ემსახურება ადგილობრივი თემის განვითარებას, სოფელში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით ქალების, გაძლიერებისა და ტრადიციული რეწვის პოპულარიზაციის გზით. სოციალური საწარმო „ლატლიიშდ“ მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან, ადგილობრივ პროდუქციასა და მომსახურებას: სვანურ საპონს, მარილსა და ქუდებს, ტექსტილის ნაწარმს; ადგილობრივი პროდუქტის შექმნის მასტერკლასებს და სხვ.	2022
9	*რინგოვეტი*	„რინგოვეტი” ინოვაციური, ტექნოლოგიური სტარტაპია. ეს არის მულტიფუნქციური მობილური აპლიკაცია, ძაღლებისა და კატების პატრონებისთვის და არა მარტო. “რინგოვეტის”	2022

		მთავარი და ყველაზე საპასუხისმგებლო ფუნქცია 24 საათიანი სასწრაფო ვეტერინარული დახმარების აღმოჩენაა როგორც შინაური, ისე მიუსაფარი ცხოველებისთვის.	
10	*თანავე*	„თანავე“ სოციალური საკონდიტროა, რომელიც ქალებისა და ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების, დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით შეიქმნა. ამისათვის საკონდიტრო სოფელში ქმნის უნიკალურ სივრცეს, სადაც მომხმარებელს მშვიდ, კომფორტულ და თბილ გარემოში შეუძლია თანამედროვე თუ ტრადიციული საკონდიტრო ნაწარმისა და ნუგბარის შეძენა-დაგემოვნება.	2021
11	*ლურჯი ალავერდი*	„ლურჯი ალავერდის“ მისიაა ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ადამიანების, ასევე სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული მცირეშემოსავლიანი ახალგაზრდა და ზრდასრული ფერმერების, ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა დასაქმების, სწავლების და გადამზადების გზით. სოციალური საწარმო მუშაობს სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით და ტურისტებს სთავაზობს მრავალფეროვან მომსახურებას.	2021
12	*ორბის ბუდე*	„ორბის ბუდე“ ტურისტული ცენტრია ქვემო ქართლის გამორჩეულად ლამაზ სოფელ სამშვილდეში, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ლაშქრობების, ტურების, მასტერკლასების ორგანიზებას; საბანაკე აღჭურვილობის გაქირავებას; კვებას. სოციალური საწარმო შეიქმნა ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ქალების, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების, ეკონომიკური გაძლიერების მიზნით.	2021

მოქმედი სოციალურისაწარმოებისთვის კონკურსი გამოცხადდა ეთხელ, და შეირჩა 3 საწარმო. წინა პერიოში შერჩეულ საწარმოებთან ერთად 2022 წლის მანძილზე საქმიანობა მიმდინარეობდა 9 მოქმედ საწარმოსთან:

#	საწარმო	პროექტის აღწერა	წელი
1	*აგამა*	საწარმოს მისიაა იმერეთის რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული იძულებით გადაადგილებული პირების დასაქმების ხელშეწყობა. „აგამა“ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს და გადაამუშავებს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, კერძოდ მარწყვს, და ამზადებს კომპოტებს, მურაბებსა და ჯემებს.	2022
2	*ჩემპი*	„ჩემპის“ მისიაა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება ადგილობრივი, ჯანსაღი, უნარჩენო, წარმოების განვითარების გზით. „ჩემპი“ აწარმოებს ვაშლის ჩიფსების ნაირსახეობასა და ინოვაციურ სნექს „ცმაცი“.	2022
3	*კაფუნე*	„კაფუნე“ სოციალური კაფეა ქ. რუსთავში, რომლის მისიაა შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი ჯგუფებისა და ახალგაზრდების გაძლიერება პროფესიული გადამზადების,	2022

		დასაქმებისა და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	
4	რედო	სოციალური საწარმოს მისიაა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების დასაქმება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია. „რედო“ აწარმოებს ეზოს მოსაპირკეთებელ დეკორატიულ ფილებს.	2022
5	*პოტერია*	„პოტერიას“ მისიაა სხვადასხვა საჭიროების მქონე ქალების ეკონომიკური გაძლიერება და რესოციალიზაციის ხელშეწყობა. იგი ერთ სივრცეში აერთიანებს კერამიკის სახელოსნოს, თიხაზე მუშაობის არტ თერაპიულ კურსებს, საგანმანათლებლო და საგამოფენო სივრცეს.	2021
6	*ეთნოდიზაინი*	სოციალური მაღაზია „ეთნოდიზაინის“ მისიაა ტრადიციული რეწვის ოსტატების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი პროდუქციის განვითარებითა და გაყიდვების ხელშეწყობის გზით. გაყიდვების ტრადიციულ არხთან, მაღაზიასთან, ერთად „ეთნოდიზაინი“ გეგმავს „მოძრავი მაღაზიის“ აწყობას, აღჭურვასა და განთავსებას სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილზე.	2021
7	*კოდალა*	სოციალური საწარმო „კოდალა“ ხელს უწყობს შშმ პირებისა და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების რესოციალიზაციას, საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ღირსეულ დასაქმებას. „კოდალა“ ქმნის ხელნაკეთ, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო ხის სათამაშოებს, სუვენირებსა და საბავშვო ავეჯს. საწარმო გეგმავს დუალური და ინკლუზიური პროფესიული სასწავლო პროგრამების დანერგვას შშმ და სოციალურად დაუცველი პირთათვის;	2021
8	*ბაბალე*	„ბაბალეს“ მისიაა დაუნის სინდრომის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით. სოციალური საწარმო „ბაბალე“ აერთიანებს 2 სივრცეს: შემოქმედებით სახელოსნოს, სადაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდები სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით იღებენ განათლებას, საქმდებიან, ქმნიან პროდუქციას, და სალონს, რომელშიც გამოიფინება და იყიდება ნამუშევრები. ადგილობრივ ბაზართან ერთად, ბაბალე გეგმავს პროდუქციის საერთაშორისო ონლაინ ბაზარზე, კერძოდ ამაზონზე, გატანას.	2021
9	*ბებიას*	„ბებიას“ - ქართული ბრენდია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ბებიების ხელით მოქსოვილ ქუდებს. საწარმოს მისია სწორედ ბებიების გაძლიერება და მათთვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაა.	2021

სულ 2022 წლის მანძლზე გაცემული ფინანსურმა მხარდაჭერამ შეადგინა 300’240 ლარი, მ.შ. 207’952 ლარი სტარტაპებისთვის, და 92’288 ლარი მოქმედი საწარმოებისთვის.

კონსულტაციები და მორგებული ტექნიკური დახმარება

პროგრამის ფარგლებში სოციალურ საწარმოებს ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ დახმარებას.

2022 წელს სრულად განახლდა სოციალური მეწამრეებისთვის საინფორმაციო რესურსი - https://www.segeorgia.org რომელიც დაინტერესებულ მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან ინფორმაციას სოციალური მეწამრეობის შესახებ, როგორიცაა საინფორმაციო ანიმაციები და ვიდეო რგოლები, სამეცნიერო სტატიები, კვლევები, საუკეთესო მაგალითეი, საინტერესო ბმულების, სასწავლო კურსები და სხვა.

სოციალური საწარმოებისთვის გაცემული 100-ზე მეტი კონსულტაცია მრავალფეროვნ თემატიკას მოიცავდა: ბიზნეს გეგმის დახვეწა, აღრიცხვიანობა და ფინანსების მართვა; კომუნიკაციების სტრატეგია, ბრენდინგი, პროდუქტის განვითარება და დიზაინი, საფეხმავლო ტურების შედგენა . სოციალური მედიის მართვა, ჰასპის მოთხოვნები და სხვ.

სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

სოციაური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუნჯობესებისთვის საქმიანობა რამდენიმე მიმართლებით მიმდინარებს:

- ***სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში***

ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციისთვის 2022 წელს განახლებული ფორმატით აღვადგინეთ კონკურსი - „სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდა ელჩები“.

კონკურსი რამდენიმე ეტაპს მოიცავს

2022 წელს კონკურსის ფარგლებში სოციალური მეწარფმეობის კონცეფციას 200-ზე მეტი ახალგაზრდა გაეცნო, 23-მა მიიღო მონაწილეობა საზაფხულო სკოლაში, მათგან შეირჩა **4 ელჩი 4 რეგიონში -ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი**

ახალგაზრდა ელჩებმა საკუთარ რეგიონებში თანატოლებს გააცნეს სოციალური მეწარმეობა.

კონკურსის ფინალური ღონისძიება 2023 წლის მარტშია დაგეგმილი, რომელზეც გამოვლინდება გამარჯვებული

„როგორც ელჩი, ვაკვირდებოდი საკუთარ თავს, როგორ ვიზრდებოდი. აღმოვაჩენე, რომ თუ რაიმე იდეის გჯერა და გინდა, რომ ღირებულებები გააზიარო, ჩნდება ძალიან დიდი მოტივაცია, ენერგია და ამ პროცესში იღებ დიდ სიამოვნებას. თითოეული აქტივობის შემდეგ არათუ დაღლილი, არამედ ძალიან კმაყოფილი ვიყავი, " – ანა, ელჩი მცხეთა-მთიანეთში

„ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროექტი ხაშურისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ ის გახდება საძირკველი, ხაშურში შეიქმნას პირველი სოციალური საწარმო", - მარიამი, ელჩი ხაშურში

სოციალური საწარმოების B2B გამოფენის მნიშვნელობა და მიღწევები

2022 წლის 30 სექტემბერსა და 1-ელ ოქტომბერს სოციალურ საწარმოთა რიგით მე-3 B2B გამოფენა გაიმართა.

გამოფენა მიზნად ისახავდა სოციალურ საწარმოებსა და ბიზნეს კომპანიებს, ასევე სხვადასხვა სექტორს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას, სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციასა და სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოში.

გამოფენაში მონაწილეობა ჯამში 47-მა სოციალურმა და მწვანე საწარმომ მიიღო, მათგან 11 სერვისების მიმწოდებელი, ხოლო 36 პროდუქციის მწარმოებელი საწარმო იყო.

ღონისძიების შედეგად:

- გამოფენას ესტუმრა 130-ზე მეტი ბიზნეს კომპანია და ორგანიზაცია
- შედგა 177 B2B შეხვედრა
- 27 სოციალურ საწარმოს გაეწია ინდივიდუალური პრო ბონო მხარდაჭერა ბიზნეს კომპანიების მიერ;
- საწარმოებმა შეძლეს პროდუქციის რეალიზება ადგილზე, და გაფორმდა საპარტნიორო კონტრაქტები 70’000 ლარის მოცულობით.
- შედგა ისეთი თანამშრომლობები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში საწარმოებს გაუზრდის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას.

გავლენის ფონდი აქციო

2021 წლიდან ცენტრის გუნდი აქტიურად მუშაობდა გავლენის ფონდის კონცეფციის განვითარებასა და გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების პოპულარიზაციის მიმართულებით. 2022 წელს კონცეფციამ საბოლოო სახე მიიღო და 22 ივნისს ფონდის "აქციო"ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა. წლის მანძილზე აქციომ უკვე მოიზიდა 2 გავლენის ინვესტორი და ერთი გავლენის პარტნიორი, რომლებიც მომდევნო 5 წლის მანძილზე ჯამურად 60 ათასი დოლარის ინვესტიციას ჩადებენ ფონდში და წვლილს შეიტანენ სულ მცირე 10 სოციალურ საწარმოს სოციალური და ეკონომიკური გავლენის ზრდაში.

გავლენის ფონდი სოციალურ საწარმოებს გაუწევს როგორც ტექნიკურ დახმარებას, ისე ფინანსურ მხარდაჭერას 50 ათასი ევროს ოდენობით. აღსანიშნვია, რომ აქციომ მნიშვნელოვნად გაზრდილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად (40 ათასი ევრო) შემოიტანა ინოვაციური, სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული, დაფინანსების მექანიზმი - 0%-იანი სესხი. აღნიშნული მხარდაჭერის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება საწარმოების სოციალური გავლენისა და შედეგების შეფასება.

აქციოს პრეზენტაციის შემდეგ გაიხსნა ფონდის პორტფელი. განაცხადების მიღება ღია კარის პრინციპით მიმდინარეობს და მათ დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი აფასებს. 2022 წელს შემოვიდა 4 ინტერესის გამოხატვის განაცხადი, რომელთაგან 2 სოციალური საწარმო, „ბაბალე" და „ისტორიალი", გადავიდა იდეის დამუშავების ეტაპზე.

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების კონცეფციის პოპულარიზაციისთვის 2022 წელს შეიქმნა „გავლენის ინვესტორთა კლუბი". კლუბმა 3 შეხვედრას უმასპინძლა, რომლებსაც გავლენის ინვესტორები და სფეროთი დაინტერესებული ადამიანები ესწრებოდნენ.

დამატებით, აქციოსა და გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა ვებგვერდი www.actio.ge , მომზადდა სტატიები და ვიდეორგოლები.

პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის

პროექტის მიზანია ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარება და შენარჩუნება გურიის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. პროექტის ამოცანებია: დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა სამუშაოს მაძიებლებისთვის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარების განვითარებისა და დამსაქმებლისა და პოტენციური დასაქმებულის ერთმანეთთან დაკავშირების მექანიზმებით; სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლე-ახალგაზრდების სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვა დასაქმების არსებული

შესაძლებლობების ეფექტიანად გამოსაყენებლად ქვემო ქართლის, კახეთისა და გურიის რეგიონში

პროექტი ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (CSRDG) ლიდერობით, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირსა და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად.

პროექტის ხანგრძლივობა - 36 თვე; 2020 – 2023 წელი

ბიუჯეტი - 925,255 ევრო

დონორი ორგანიზაცია - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

პროექტის ფარგლებში 2022 წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგები:

- შეიქმნა **სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის 6 ცენტრი,** რომელთა მხარდაჭერითაც დასაქმდა 200-მდე ადგილობრივი და 1000-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მისთვის საჭირო მომსახურება - სწავლება, გადამზადება თუ დასაქმებისთვის საჭირო სხვა უნარ - ჩვევების შეძენა.
- დაფინანსდა **შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე 6 სოციალური საწარმო,** სადაც ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადამიანების დასაქმებით ხელი შეეწყო მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.
- სამიზნე რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად დაფინანსდა 2 **ბიზნესპროექტი**.
- 29 სკოლაში ამოქმედდა **„იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“**, სადაც 700-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო და გაიღრმავა ცოდნა სხვადასხვა პროფესიის შესახებ, შეიძინა გარკვეული სამეწარმეო უნარ-ჩვევები.
- 5 **პროფესიულ სასწავლებელთან** მიმდინარეობს თანამშრომლობა მათი ორგანიზაციული გაძლიერების მიზნით.

სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები (LESC) განთავსებულია საქართველოს 3 რეგიონის 6 ქალაქში, კერძოდ, გურიაში - ოზურგეთსა და ჩოხატაურში; ქვემო ქართლში - ბოლნისსა და თეთრიწყაროში; კახეთში - თელავსა და ლაგოდეხში. ცენტრები ადგილობრივ სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს კომპლექსურ და საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებებს (კარიერული კონსულტირება, პროფესიული ცოდნის შეძენას და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და დისტანციურად დასაქმების შესაძლებლობების მოძიება) და ქმნის ინოვაციურ, ინკლუზიურ დასაქმების შესაძლებლობებს სექტორთაშორისი თანამშრომლობის გზით.

LESC- ების მიერ შეთავაზებულია დაფინანსებული ტრენინგკურსები 4 მიმართულებით: საკუთარი ბიზნესის წამოწყების მსურველებისთვის სამეწარმეო უნარების კურსი; სამუშაოს მაძიებლებისთვის დასაქმებისთვის საჭირო უნარების

კურსი; საოფისე პროგრამების კურსი; ფრილანსერობით/დისტანციური დასაქმებით დაინტერესებულთათვის კურსი.

საანგარიშო წელს, სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებმა (LESCs) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს სამუშაოს მაძიებელთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული უნარების გაძლიერებისა და მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირების მიმართულებით. ცენტრებმა ბენეფიციართა მნიშვნელოვან რაოდენობას გაუწიეს დასაქმების მხარდაჭერის მომსახურება და მოახერხეს რეალური შედეგების მიღწევა, რასაც არაერთი წარმატების ისტორია ადასტურებს.

სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების საქმიანობის შედეგად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:

- მომსახურება გაეწია 1200-მდე პირს;
- ტრენინგებს დაესწრო 500-ზე მეტი ადამიანი;
- დასაქმდა 191 ადამიანი;
- ჩატარდა 31 სრული კურსი;
- „ბექას სკოლასთან" თანამშრომლობით 35-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა ინგლისურ ენაში მომზადება;
- „გოეთეს ინსტიტუტმა" გერმანული ენის კურსებზე უფასოდ დაუთმო ადგილი ჩვენს 4 ბენეფიციარს;

შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმო (WISE):

სამიზნე რეგიონებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით საგრანტო კონკურსის შედეგად 6 სოციალური საწარმო დაფინანსდა 14 000 ევროს ოდენობით.

საანგარიშო წელს, შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე სოციალური საწარმოების დაფინანსების საგრანტო კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი სოციალური საწარმოებია:

„რედო" - სოციალური საწარმო „რედო" მუშაობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციაზე. "რედო" მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და აწარმოებს 16 სახეობის დეკორატიულ ფილას ეზოებისთვის. პროექტის მთავარი მიზანია მაღალტექნოლოგიური წარმოების შესაძლებლობების გაზრდა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებასა და ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს განმეორებითი დანაშაულის რისკი და შექმნას წარმატების მაგალითები.

„ორბის ბუდე" - სოციალური საწარმო „ორბის ბუდე"-ს მისიაა სოფელ სამშვილდეში მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა, ტურისტული ადგილების

ვიზიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა სერვისების შეთავაზება და ბუნებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. საწარმოს აქვს გარე კაფე და კემპინგი. პროექტის ფარგლებში, საანგარიშო წელს განახლდა საწარმოს სივრცე და მოეწყო სამზარეულო, მიმდინარეობდა მუშაობა ტურისტული მარშრუტებისა და პაკეტების შექმნის მიზნით.

„პროფესიო“ - „პროფესიო“ არის სოციალური კაფე რუსთავში, რომელიც ხელს უწყობს მრავალშვილიანი ოჯახების წევრების პროფესიული უნარების განვითარებასა და დასაქმებას. სოციალური საწარმო გახდება სივრცე ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ სოციალიზაცია, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა და ინიციატივების განხორციელება (სხვადასხვა აქტივობები, ტრენინგები, შეხვედრები, ა.შ). საანგარიშო წელს, მიმდინარეობდა კაფეს სივრცის სამზარეულოს მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოები.

საანგარიშო წელს, საწარმოებში ჯამურად დასაქმებულია 9 ადამიანი. 2022 წელს დაფინანსებული საწარმოებიდან „ორბის ბუდე“-სა და „პროფესიო“-ში მიმდინარეობს აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები და საქმიანობას მომდევნო საანგარიშო წელს დაიწყებენ.

საგრანტო კონკურსი ბიზნეს კომპანიებისთვის

CSRDG-მ ამ საანგარიშო პერიოდშიც გააგრძელა ბიზნეს კომპანიებთან ახალი ინოვაციური პროექტების შესაძლებლობების აღმოჩენა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის სტიმულირებისა და მხარდაჭერის მიზნით, ბიზნეს კომპანიებისთვის გამოცხადდა საგრანტო კონკურსი დასაქმების ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად. 7000 ევროს ოდენობით დაფინანსდა 2 ბიზნესპროექტი - სოფტლაბი (SoftLab) და ენების ლაბორატორია (Language Laboratory).

სოფტლაბი - პროექტს ახორციელებს კომპანია „სოფტგენი“, რომელიც თბილისში, პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავების სფეროში ოპერირებს. პროექტი მიზნად ისახავს გურიაში IT სპეციალისტების აღზრდას, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, სოფტლაბის საგამოცდო და სასწავლო პროცესისთვის გამოიყო შესაბამისი აუდიტორიები. ტექნიკურად აღიჭურვა ტექნოპარკის ერთი სამუშაო სივრცე, სადაც ის მოსწავლეები ესწრებიან პროგრამირების გაკვეთილებს, რომლებსაც სახლში არ აქვთ გაკვეთილზე დასწრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სწავლა დაიწო 64-მა მსურველმა - სოფტლაბი შერჩეულ სტუდენტებს სთავაზობს პროგრამირების ერთწლიანი სწავლების კურსს, საიდანაც მინიმუმ 8 მათგანი დასაქმდება SoftGen ჯგუფში. სხვა

წარმატებულ სტუდენტებს რეკომენდაცია გაეწევათ პარტნიორ ორგანიზაციებში დასასაქმებლად.

ენების ლაბორატორია არის თანამედროვე სტანდარტების, უცხო ენების სწავლების ცენტრი. პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლში, რუსთავში თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და კარიერულ განვითარებას. გარდა ამისა, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ენების ლაბორატორია პროექტის განმავლობაში, უსასყიდლოდ გადაამზადებს მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებს, მათ შორის, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და სოციალურად დაუცველ არასრულწლოვანებს. პროექტის ფარგლებში, „ენების ლაბორატორიაში“ 6-8 ადამიანი დასაქმდება.

იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია (IEL)

პროექტის ამოცანების უზრუნველსაყოფად, სამიზნე რეგიონების სკოლებში შექმნილია მეწარმეობისა და კარიერის განვითარების კლუბები, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობენ სამეწარმეო უნარების განვითარების პროგრამებს. პროექტის ფარგლებში 29 სკოლაში (მათგან 11 შეირჩა 2022 წელს) ამოქმედდა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“, სადაც ჩართული არიან მოსწავლეები 12 წლის ასაკიდან. მათი მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეების იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიების სწორად შერჩევის, წარმატებული კარიერის დაგეგმვისა და წარმართვისათვის.

საანგარიშო პერიოდში შერჩეული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. ჩატარდა სასკოლო ინიციატივების კონკურსი, რის შედეგადაც **9** საპროექტო იდეამ (გურიიდან, ქვემო ქართლიდან და კახეთიდან) შესძლო მიკრო გრანტის მოპოვება.

საანგარიშო წელს **7 ტრენინგი ჩატარდა** თემაზე „სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და პროექტული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“ - **ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა: 560** (89-ადმინისტრაციის წარმომადგენელი; 471 მასწავლებელი; პროექტის I ეტაპი-268; II-203 სასკოლო კლუბების მდგრადობის სტრატეგიის შემუშავების პროცესში დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო - 84 პირი. ასევე, **დატრენინგებული ლაბორატორიების ფასილიტატორების რაოდენობა: 68**

კლუბებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა - 737 (მათგან პროექტის პირველ ეტაპზე-395, მეორე ეტაპზე- 351-სასკოლო კლუბების მხრიდან

განხორციელებულია შემაჯამებელი აქტივობები და გამოვლენილი და მხარდაჭერილია **79** დამოუკიდებელი ინიციატივა; ჩატარებულია **58** შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთან ან/და ვიზიტი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის გაცნობის მიზნით.

საანგარიშო წელს, პროექტის ფარგლებში, მეწარმეობისა და კარიერის განვითარების კლუბებისთვის ჩატარდა თემატური **საზაფხულო ბანაკი,** სადაც 43 მოზარდი მონაწილეობდა.

პროფესიული სასწავლებლები (VET)

სამიზნე რეგიონების 5 პროფესიულ სასწავლებელთან მიმდინარეობს თანამშრომლობა და მათი ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ჩატარდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების შეფასება: **მოდუსი** (ქვემო ქართლი); **მარნეულის სათემო კოლეჯი** (ქვემო ქართლი); **ჰორიზონტი** (გურია) და მიმდინარეობს საჭიროებებზე მორგებული სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, CSRDG-მ მხარი დაუჭირა ქვემო ქართლში, რუსთავში მდებარე კოლეჯ **მოდუსში** მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლიფტის მექანიკოსის“** შემუშავებას.

წარმატების ისტორიები

<u>მეწისქვილე გოგო გურიიდან,</u> რომელმაც სოფელ ლიხაურში ტურისტული სივრცე შექმნა.

32 წლის ეკა სალუქვაძე ოზურგეთის სოფელ ლიხაურში ცხოვრობს. 3 შვილის მარტოხელა დედაა, რომელმაც მამაპაპისეული 150 წლის წინანდელი წყლის წისქვილი აღადგინა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული სივრცის მოწყობა მთავარ მიზნად დაისახა. ეკამ ოზურგეთის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრში სამეწარმეო უნარების კურსი გაიარა, სადაც საკუთარი სურვილები ჯერ ბიზნეს პროექტად აქცია, შემდეგ კარიერის კონსულტანტების მუდმივი მხარდაჭერით, დაფინანსებაც მოიპოვა და განხორციელებისა და საკუთარი ბიზნესის განვითარების პროცესშიც, ნებისმიერი გამოწვევებისას, მათი დახმარების იმედი აქვს. დღეს, ეკა საოჯახო მეურნეობასაც მართავს, წისქვილსაც და მოწეული ეკო პროდუქტებით გურულ ფაცხაში „დოლაბი“ სტუმრებსაც უმასპინძლდება.

სოციალური საწარმო „აისი“ (გაცემულია 14 000 ევროს ფინანსური გრანტი და საკონსულტაციო მხარდაჭერა)

პროექტის ფარგლებში, დაფინანსებული სოციალური საწარმო „აისის“ მისიაა ქალთა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და მდგრადობის გაუმჯობესება ფშაველსა და მიმდებარე სოფლებში. ამავე დროს, ის ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს ადგილობრივი ფერმის პროდუქტებისგან დამზადებულ ტკბილეულს და ჯანსაღ ფასტფუდს. საწარმო სრულად არის აღჭურვილი სამზარეულოს თანამედროვე სისტემებით და აქვს დახურული პატარა კაფე 3 მაგიდით. პროექტის ფარგლებში სულ 8 ქალი დასაქმდა. სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 3 ქალი კონდიტერიისა და კაფეს მენეჯმენტის მიმართულებით. 8 თვის ფუნქციონირების შემდეგ, სოციალურ საწარმოს 10 000 ლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდა.

ია თავდიშვილი ოზურგეთის სოფელ ციხისფერდში ცხოვრობს - არის საშუალო სკოლის განათლებით, 34 წლის, მარტოხელა, 3 შვილის დედა და მარტოს მოუწია შვილების საჭიროებებზე ზრუნვა, რომელიც სოფელში ცხოვრების და სამუშაო ადგილების არ ქონის გამო დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდა და მინიმალურ ფინანსურ საჭიროებებსაც ვერ უმკლავდებოდა. კარიერის დაგეგმვის კონსულტანტების პერსონალური მუშაობით, ოზურგეთის სწავლებისა და დასაქმების ცენტში დარეგისტრირდა და გაიარა კურსი - „როგორ გავხდე ფრილანსერი და დავსაქმდე დისტანციურად“, რომელმაც მისივე სიტყვებით, ახალი უნარები განუვითარა და კარიერის კონსულტანტების დახმარებით, დღეს უკვე რამდენიმე სამსახური აქვს.

იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია სკოლებში - ქ. რუსთავის N21 საჯარო სკოლა.

პროექტის ფარგლებში სკოლას დაუფინანსდა ორი პროექტი „გადაუდებელი დახმარების სამაჯური“ და „კინოკლუბი“. „გადაუდებელი დახმარების სამაჯური“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა. მოზარდებმა შექმნეს ელექტრონული სამაჯურის პროტოტიპი, რომელზეც შესაძლებელია გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პერსონალური ინფორმაციის განთავსება. პროექტი „კინოკლუბი“ წარმატებით მიმდინარეობს და რადგან ქ. რუსთავში არ არის კინოთეატრი, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოზარდების მიერ შექმნილი კინოკლუბი.

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, მომხმარებლის უფლებების დაცვის თემაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო. მიმართულების მიზანი საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაა.

მიმართულების ძირითადი საქმიანობები

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მომხმარებლის უფლებების მიმართულებით
- სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი
- მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება
- მომხმარებელთა კონსულტირება და იურიდიული დახმარება.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მომხმარებლის უფლებების მიმართულებით

პროგრამამ მოამზადა და საკუთარ ვებსაიტზე momxmarebeli.ge გამოაქვეყნა 7 სტატია, რომლებიც ისეთ საკითხებს ეძღვნებოდა, როგორებიცაა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ახლადმიღებული კანონის მიმოხილვა და მოქალაქეთა მხრიდან მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები, ანტიმიკრობული რეზისტენტულობა და მისი კავშირი სურსათთან, მელამინის ჭურჭლიდან მომდინარე საფრთხეები და სხვა.

საკუთარ ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე momxmarebeli.ge პროგრამამ მომხმარებლის უფლებების დარღვევის შესახებ 21 სიახლე გამოაქვეყნა. აღნიშნული დარღვევები გამოვლენილი იყო როგორც თავად პროგრამის, ისე სხვა სანდო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის იყო, მავნე სამომხმარებლო პროდუქციის გამოვლენის შემთხვევები.

კვერცხში ანტიმიკრობული პრეპარატების ნარჩენების შესამოწმებლად წარმოებული კამპანიის ფარგლებში (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ „სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი“ ქვემოთ) პროგრამამ ჩაატარა 5 სემინარი შემდეგ ქალაქებში: ახალციხე, გორი, ქუთაისი, ლაგოდეხი, რუსთავი. სემინარები ეძღვნებოდა ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენების საფრთხეებს, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში და ამ მხრივ, საქართველოში არსებულ მდგომარეობას. სემინარებს, მთლიანობაში 133 ადამიანი დაესწრო არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებიდან, საინიციატივო ჯგუფებიდან, მედიიდან, კომერციული ორგანიზაციებიდან, ადგილობრივი ხელისუფლებიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

პროგრამა სისტემატურადაა მედიის ყურადღების ქვეშ. მისი საქმიანობა ხშირად შუქდება ან პროგრამის თანამშრომლებს კომენტარების გაკეთებას სთხოვენ მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. 2022 წლის

მანძილზე 39 ასეთი გაშუქება აღინუსხა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მოქმედ ტელევიზიებში, რადიოებში, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

წლებია პროგრამა აყენებს საკითხს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) არ ასრულებს კანონის მოთხოვნას მის მიერ აღმოჩენილი მავნე პროდუქტების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირების თაობაზე, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და მნიშვნელოვნად ამცირებს სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტიანობას.

გარდა ამისა, 2021 წლიდან, პირადი ინფორმაციის დაცვის მომიზეზებით, სეს მის მიერ გასაჯაროებულ კონტროლის შედეგებში ფარავს ინდმეწარმეებისა და ფიზიკური პირების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რაც მოქალაქეებს უზღუდავს იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო ინფორმაცია მიიღონ იმ სურსათის შესახებ, რომლებსაც ისინი მოიხმარენ.

ორივე ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, პროგრამამ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა სეს-ს, ხოლო საჩივრების დაუკმაყოფილებლობის შემდეგ, სასამართლოს მიმართა. 2022 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესი არ დანიშნულა.

პროგრამამ გააგრძელა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობის მონიტორინგი და დაადგინა, რომ ამ უწყების კომპეტენციაში შემავალი პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის მასშტაბები მეტად მცირეა.

2022 წლის დასაწყისში პროგრამამ დაასრულა მოქალაქეთა შემოწირულობების შეგროვების კამპანია, ე.წ. „ქრაუდფანდინგი“ სხვადასხვა სასურსათო პროდუქტების „სუდანის ჯგუფის“ ტექნიკური საღებავების შემცველობაზე შესამოწმებლად. შეგროვდა 2000 ლარზე მეტი, რის მეშვეობითაც 6 ნიმუში შემოწმდა. დარღვევა არ გამოვლენილა.

2022 წლის შემოდგომაზე პროგრამამ კიდევ ერთი ქრაუდფანდინგის კამპანია წამოიწყო კვერცხში ანტიმიკრობული პრეპარატების ნარჩენების შესამოწმებლად. დეკემბრის ბოლოსათვის 2000 ლარზე მეტი შეგროვდა. კამპანია 2023 წელსაც გაგრძელდა.

ძირითადი მიღწევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღმოჩნდა პირველი საჯარო უწყება, რომელმაც ოფიციალურად დააფიქსირა სეს-ის მიერ გამოვლენილი მავნე პროდუქციის შესახებ ინფორმაციის დროული და სათანადო გავრცელების პრობლემა და შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასება და რეკომენდაციები შესულია „სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების აუდიტის ანგარიშში“, რომელიც 2022 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა და რომლის

მომზადების პროცესშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხანგრძლივი კომუნიკაცია ჰქონდა მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამასთან, მათ შორის, ჩვენს მიერ დაყენებულ მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით.

მართალია, სეს-ს ფაქტობრივად ჯერაც არ გამოუსწორებია აღნიშნული ნაკლოვანება, მაგრამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა მნიშვნელოვანი წინაპირობაა საკითხის მოსაგვარებლად.

მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება

პროგრამამ გააგრძელა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის განხილვებში მონაწილეობა და საქართველოს პარლამენტს კანონპროექტთან დაკავშირებული 10 ცვლილება შესთავაზა.

პროგრამამ შეიმუშავა საჯარო მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი სურსათის სექტორში საყოველთაოდ აღიარებული უვნებლობის კონტროლის მექანიზმის „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების“ (HACCP) სისტემის დანერგვის გადავადების საწინააღმდეგოდ, რისი ინიციატივითაც სეს გამოვიდა. ეს მნიშვნელოვნად დააზიანებდა სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმებს და ევროკავშირთან დაახლოებას. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სახელით შემუშავებულ მიმართვას კიდევ 6 ორგანიზაცია შეუერთდა.

ძირითადი მიღწევები:

- პროგრამა ჯერ კიდევ 2013 წლიდან მუშაობდა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც 2012 წელს ისე გაუქმდა, რომ ახალი არ მიღებულა და მომხმარებლის უფლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. საქართველო ჩამორჩა თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკას, ვერ უპასუხა ქვეყნის შიგნით არსებულ გამოწვევებს. შეიქმნა ანომალიური სიტუაცია - მეწარმე, მომხმარებელთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული.

  პროგრამა 2013 წელს შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფს აღნიშნული კანონპროექტის შესამუშავებლად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის მომზადებაში და წლების განმავლობაში ითხოვდა მის დამტკიცებას. თუმცა, კანონის მიღება, საბოლოოდ, მხოლოდ 2022 წელს მოხერხდა, რითიც საქართველო მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში ევროკავშირის ძირითად ნორმატიულ აქტებს დაუახლოვდა, გაუმჯობესდა მომხმარებლის უფლებრივი მდგომარეობა და მისი დაცვის მექანიზმები, მეტი სტიმული მიეცა ქვეყანაში თანამედროვე, მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარებას.

  კანონპროექტის განხილვის ბოლო ეტაპზე, საპარლამენტო მოსმენების დროს, პროგრამის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი 4 რეკომენდაცია

სრულად, ხოლო ერთი ნაწილობრივ აისახა დამტკიცებულ კანონში. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცვლილება, რომელმაც გამორიცხა სხვა ნორმატიული აქტების მიერ მოცემული კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებების გაუარესება, რის შესაძლებლობასაც კანონის ერთ-ერთი ჩანაწერი იძლეოდა და, კანონის ქმედუნარიანობას, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა.

- „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების“ (HACCP) სისტემის დანერგვის გადავადების საწინააღმდეგოდ, საქართველოს მთავრობისადმი პროგრამის მიმართვას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უპასუხა, რის თანახმადაც გადავადების თაობაზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. მართლაც, HACCP დათქმულ ვადაში, 2023 წლის 1 ივნისიდან სურსათის სფეროში მომუშავე თითქმის ყველა ტიპის მეწარმეებისათვის სავალდებულო გახდა. ამგვარად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მომხმარებელთა კონსულტირება და იურიდიული დახმარება

სხვადასხვა სამართლებრივ, თუ არასამართლებრივ საკითხებზე პროგრამამ მოქალაქეებს 136 კონსულტაცია, ხოლო, 3 შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურება გაუწია.

ძირითადი მიღწევები:

- პროგრამის მიერ გაწეული კონსულტაციებიდან განსაკუთრებით ნიშანდობლივია შემთხვევა, როდესაც მოქალაქემ მაღაზიისაგან უხარისხო ავეჯისათვის გადახდილი სოლიდური თანხის დაბრუნება შეძლო.

- პროგრამის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების შედეგად, ორ შემთხვევაში მომხმარებლებმა შეძლეს მეწარმეებისაგან მათ მიერ სამართლიანად მოთხოვნილი თანხების დაბრუნება.

  მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოქალაქეებს წლებია, რაც უფასო საადვოკატო მომსახურებას სთავაზობს, მომხმარებლის უფლებების დარღვევების გამო სასამართლოსადმი მიმართვის მსურველები მხოლოდ 2021 წელს გამოჩნდნენ. სამი ასეთი შემთხვევიდან, ორი წარმატებით დასრულდა, ერთი საქმის განხილვა არ დასრულებულა. ამგვარად, პროგრამამ მომხმარებლის უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვის პრეცედენტები შექმნა, რაც სამაგალითო იქნება როგორც სხვა მომხმარებლების, ისე მეწარმეებისთვისაც.

წარმატებული ქეისი

სასამართლომ მომხმარებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა

2021 წლის აპრილში არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან საქართველოში ჩამოსულმა ტურისტების ჯგუფმა შპს მიმინოში ავტომობილი იქირავა. ქირასთან ერთად, ტურისტებს 200 აშშ დოლარიც გამოართვეს, როგორც დეპოზიტი ავტომობილის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში.

ტურისტები ავარიაში მოყვნენ. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. გამოიძახეს პატრული, რომელმაც დამნაშავედ ავარიის მონაწილე მეორე ავტომობილის მძღოლი ცნო. მიუხედავად ამისა, კომპანიამ ტურისტებს დეპოზიტად გადახდილი 200 აშშ დოლარი აღარ დაუბრუნა. კომპანიასთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. ტურისტებმა დახმარებისათვის ჩვენ მოგვმართეს, რის შემდეგაც ერთ-ერთი ტურისტის სახელით მოვამზადეთ სარჩელი და მივმართეთ სასამართლოს.

სასამართლო სხდომაზე შპს მიმინოს წარმომადგენელი არ გამოცხადდა. შესაბამისად, საამართლომ დააკმაყოფილა ტურისტის სარჩელი და მას 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ დაბრუნებული თანხა ტურისტებმა ჩვენს ორგანიზაციას შემოსწირეს და იგი სამომხმარებლო პროდუქციის ლაბორატორიულ კვლევებს მოხმარდა.

ამგვარად, როგორც აღმოჩნდა, უცხოელი მოქალაქეებისათვის მთავარი მიზანი სამართლიანობის აღდგენა იყო.

იმედია ეს მაგალითი სხვა მომხმარებლებსაც წაახალისებს, რათა საკუთარი უფლებების დაცვას ეცადონ და ამით ხელი შეუწყონ საქართველოში მომხმარებლის პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებას.

ღია მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაციაში ორი პროგრამის ფარგლებში ვმუშაობთ, ესენია - კარგი მმართველობის და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამები.

კარგი მმართველობა - ადგილობრივი თვითმართველობების მიერ გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.
ევროინტეგრაციის ხელშეწყობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატორების კუთხით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობა

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფების მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და სამოქალაქო კულტურის ფორმირება.

1998 წლიდან აქტიურად მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხებზე ვმუშაობთ. მრავალწლიანმა საქმიანობამ, არაერთმა განხორციელებულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

პროგრამის ძირითადი საქმიანობა

ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პრაქტიკული ხასიათის კვლევები და დიაგნოსტიკური ანგარიშები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულების ფისკალური გამჭვირვალობისა და პროგრამულად ხარჯების აღწერა/აღრიცხვიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვა/იმპლემენტაცია, მუნიციპალური ქონების ფორმირებისა და განკარგვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობების დამკვიდრება, დემოკრატიული მმართველობის ინოვაციური სისტემების შემოღება, ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევებისა

და რეკომენდაციების საშუალებით ვეხმარებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს პრობლემების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თვითმმართველობებთან მუშაობისას ჩვენი მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებელი მონიტორინგისა და კონსულტაციის პროცესის ერთობლიობაა. მონიტორინგის მეშვეობით იდენტიფიცირებული ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობის ძირითადი ხარვეზები და პრობლემები, მათი გასაჯაროება, ხელს უწყობს მათი მხრიდან არსებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებასა და რეაგირებას. არსებული რეკომენდაციების მიწოდება, ტექნიკური დახმარება, რომელიც მოიაზრებს კონსულტაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიურ მუშაობას, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

2022 წელს პროგრამის ძირითადი საქმიანობები მიზნად ისახავდა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩარჩოების მონიტორინგის ორ ძირითად მიმართულებას: მუნიციპალიტეტების ეფექტურობის მონიტორინგს მათი პასუხისმგებლობებისა და რესურსების გაფართოების თვალსაზრისით და ადგილობრივ დონეზე ევროკავშირი-საქართველოს დაკავშირებული ზოგიერთი რეფორმის განხორციელების მონიტორინგს.

მონაცემთა შეგროვების პროცესი მოიცავს, ერთის მხრივ, სამიზნე ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჯარო ინფორმაციის მოპოვებას და, მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

ანალიზი ჩატარდა წინა წლების ბიუჯეტის მონიტორინგის ქსელის მიერ შემუშავებულ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს გამჭვირვალობის პროცედურებსა და მოქმედი კანონმდებლობის ვადებს.

პროგრამა კვლავ ფოკუსირებულია წინა პროგრამისთვის შემუშავებულ შემდეგ რვა კრიტერიუმზე:

- მუნიციპალიტეტში საჯარო მრჩეველთა საბჭოს არსებობა;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გასვლითი სხდომების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს კომიტეტების სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;

- წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება;
- მუნიციპალიტეტის ვებ-პორტალზე მოწოდებული ინფორმაციის სარგებლიანობა;
- სამოქმედო გეგმის დამტკიცემაბდე საზოგადოების წინასწარი ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

პროგრამის ექსპერტებმა 2 სამიზნე რეგიონში (გურია და კახეთი), 5 სამიზნე მუნიციპალიტეტის (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, თელავი, ლაგოდეხი) ორგანოებიდან გამოითხოვეს შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. გამოთხოვილი მასალები ძირითადად შეეხებოდა: 2022 წლის პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომებისა და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ოქმებს; ადმინისტრაციული წარმოების მასალებს; ინფორმაციას მოქალაქეებთან და ამომრჩევლებთან საკრებულოს წევრების შეხვედრების შესახებ, რომელიც გაიმართა 2022 წლის განმავლობაში; ინფორმაციას საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ „საკრებულოს წევრის ფუნქციონირების ხარჯები“ ბიუჯეტის ხაზით იმავე პერიოდში და ა.შ. გარდა ამისა, პერიოდულად მოწმდებოდა საკრებულოს ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში იქნა გაანალიზებული.

არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით ექსპერტების მიერ 2022 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შემუშავებული იყო 93 რეკომენდაცია ჯამურად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის.

წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების ეფექტური გზების მხარდასაჭერად და კონსულტაციებისა და საექსპერტო რჩევების გაცემის მიზნით ჩატარდა 36 ცალკეული სპეციალური საკონსულტაციო შეხვედრა სამიზნე რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა/გაფართოება;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებების შესრულება;
- ხელისუფლების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერებისა ამაღლების სტრატეგიისა და თანმდევი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების გარანტიების შექმნა და განხორციელება;

- სოციალური მისიის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროცედურები და ამ საკითხზე ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში კონკრეტული თანხების გამოყოფა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

საანგარიშო პერიოდში სამიზნე მუნიციპალიტეტებმა მიიღეს / გაითვალისწინეს 59 წარმოდგენილი რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციების საფუძველზე საკრებულომ დაამტკიცა 12 მნიშვნელოვანი ტიპის დებულება/ნორმატიული აქტი.

CSRDG-ის ექსპერტებმა განაგრძეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორი ვალდებულების შესრულების მონიტორინგი: უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განხორციელდა საკრებულოებში არსებული საზოგადოებრივი პალატების (ე.წ. „საზოგადოებრი დარბაზის“) და სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების საქმიანობის აქტიური მონიტორინგი. ოზურგეთისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა 7 ტრენინგი საბიუჯეტო განაცხადების როლისა და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტირების პროცესში. CSRDG-ის ექსპერტებმა ჩაატარეს ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და შედეგების საფუძველზე მომზადდა მონიტორინგის სპეციალური ანგარიში და განიხილეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

პროგრამის ექსპერტები ასევე მუშაობდნენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით, გამოვლენილი საჭიროებების (პრობლემების) მოგვარების ხელშეწყობის თაობაზე. ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმების განხორციელების 6 თვიანი მონიტორინგის ანგარიშები, სპეციალური რეკომენდაციებით, სამი სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის - ოზურგეთი, თელავი და ლაგოდეხი ფართოდ განიხილეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. მონიტორინგიგის დროს ყურადღება გამახვილდა 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაზე. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი 39 რეკომენდაციიდან 15 იქნა მიღებული. რეკომენდაციები, პირველ რიგში, ეხებოდა ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული მანდატების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გარდა ამისა, განიხილებოდა:

- მუნიციპალური ნარჩენების გატანის (დასუფთავების) სერვისის გეოგრაფიული არეალის გაფართოვება ადმინისტრაციული ერთეულების შემადგენლობაში შემავალი ყველა დასახლებისთვის;
- მუნიციპალური ნარჩენების გატანის (დასუფთავების) სერვისის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ამ ადმინისტრაციული ერთეულებისთვის გამოყოფილი ნაგვის კონტეინერების რაოდენობის ზრდა;

- ადეკვატური რაოდენობის ნაგვის კონტეინერების განთავსება;
- ნაგვის კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის გაუმჯობესება;
- ადმინისტრაციული ერთეულების დასახლებებში ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) სრული ინვენტარიზაცია (ადგილმდებარეობის, მოცულობის, შემადგენლობის იდენტიფიცირება) და ამ ადგილების დასუფთავებისა და ტერიტორიის აღდგენის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და კომპონენტებზე ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით;

პროგრამის ჯგუფმა ასევე ჩაატარა ანალიტიკური კვლევა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოციალური საწარმოების მხარდაჭერის პრაქტიკისა და შესაძლებლობების შესახებ და მოამზადა სპეციალური რეკომენდაციები სამიზნე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. მონიტორინგის ანგარიშების/კვლევის შედეგების წარდგენის მიზნით მოეწყო 10 დისკუსია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების (EUGAA) ხელმოწერის დღიდან, CSRDG ხელს უწყობს საქართველოს რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალმხრივ ჩართულობას შეთანხმების დროული და სათანადო განხორციელების მონიტორინგსა და ადვოკატირებაში.

მიმართულების მიზნია, საზოგადოებამდე მიტანა იმისა, თუ კონკრეტულად რა ვალდებულებებს ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმება. ვინაიდან აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებამ აკონტროლოს ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესი და მოსთხოვოს ხელისუფლებას მისი სათანადო შესრულება, აუცილებელია მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციაში.

ძირითადი საქმიანობები:

- ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია

- ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე;
- ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე
- მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში მათი მეტად ჩაბმის მიზნით ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ვატარებთ სხვადასხვა თემატიკაზე ტრენინგებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2 ონლაინ ტრენინგი მომხმარებელთა უფლებების და სურსათის უვნებლობის მიმართულებებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სამოქალაქო მონიტორინგის მიდგომების თაობაზე (მონაწილეობა მიიღო ჯამში 35 ადამიანმა) და 2 ონლაინ ვორკშოპი ევროკავშირში საქართველოს წევრობის განაცხადის პასუხად ევროკომისიის მიერ მომზადებული 12 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის და შესაბამისი პროცესების განსახილველად (მონაწილეობა მიიღო ჯამში 44 ადამიანმა).

ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება 30-ზე მეტ დარგს მოიცავს. და ის საკმაოდ მოცულობითი და რთული, ტექნიკური დოკუმენტია. იმისათვის, რომ საზოგადოებამ მარტივად გასაგებ ენაზე შეძლოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების ირგვლივ ინფორმაციის მიღება, ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში სხვადასხვა სფეროების ირგვლივ ვამზადებთ **მოკლე, სახალისო ვიდეოებს საზოგადოებისათვის.** ვიდეოებს ახლავს განმარტებითი მასალები და ცოდნის შესამოწმებელი კითხვები. ეწვიეთ გვერდს **ასოცირება-ჯი** (http://asocireba.ge).

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების 4 განმარტებითი ანიმაცია:

- საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები https://www.asocireba.ge/learn/?card=142
- გარემოს დაცვის პრინციპები https://www.asocireba.ge/learn/?card=145
- ბიომრავალფეროვნების დაცვა ასოცირების შეთანხმების მიხედვით https://www.asocireba.ge/learn/?card=147
- მომხმარებლის უფლებების დაცვა https://www.asocireba.ge/learn/?card=149

მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულად ჩაბმის მიზნით ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 საგრანტო კონკურსი და გაიცა 24 მცირე გრანტი ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე მივუთითოთ საიტიდან ლინკი. მათ შორის 6 შემთხვევაში საგრანტო კომისიის მიერ განაცხადი დასახვეწად გადაეცა CSRDG-ს "გრანტების ლაბორატორიას" და მხოლოდ არსებითი გაუმჯობესების შემდეგ დაფინანსდა. გარდა ამისა, დაფინანსების შემდეგ 6 შედარებით გამოუცდელ გრანტიორისთვის შეირჩა 3 მენტორი ორგანიზაცია, რომელზეც გაიცა მენტორობის მიკრო-გრანტები.

ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია

2021-2022 წლებში დაფინანსებული გრანტიორების მიერ მომზადდა და 2022 წელს asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასების 10 ანგარიში:

- კორპორაციული ანგარიშგებების სისტემის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება: ნაწ 1: კანონმდებლობის ანალიზი https://www.asocireba.ge/files/YoungEconomists-part1c.pdf , ნაწ. 2: ანგარიშგებების მომზადების ხარისხის შეფასება https://www.asocireba.ge/files/YoungEconomists-part2.pdf
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებების საქმიანობის მონიტორინგი ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში https://www.asocireba.ge/files/Step_Kharagauli_Child_Rights_2022.pdf
- იმერეთის მუნიციპალიტეტების მიერ ნარჩენების რეციკლირება-კომპოსტირების ანგარიში https://www.asocireba.ge/files/Spectri_Waste_Management_Imereti_2022.pdf
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გურიის რეგიონში - მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები https://www.asocireba.ge/files/EIA_Monitoring_Guria_2022.pdf
- შრომის სფეროში ევროკავშირის დირექტივების აღსრულების მონიტორინგი იმერეთის რეგიონში https://www.asocireba.ge/files/RCI_Bright_Future_Labor_Law_2022.pdf
- შრომის უფლებებისა და უსაფრთხო შრომის მონიტორინგი იმერეთის საჯარო დაწესებულებებში https://www.asocireba.ge/files/Bright-Future-Labour-Rights-in-Public-Bodies-in-Imereti-2022.pdf

- რაჭაში თაფლის მწარმოებელთა ინფორმირებულობის მონიტორინგი https://www.asocireba.ge/files/Racha_Honey_Producers_Awareness_Monitoring_2022.pdf
- ნარჩენების მართვის მონიტორინგი ხაშურის მუნიციპალიტეტში https://www.asocireba.ge/files/Qartlosi_Waste_Managmant_Khashuri_2022.pdf
- სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტურობის კვლევა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში https://www.asocireba.ge/files/YFA_monitoring_of_catering_services_2022c.pdf და რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის https://www.asocireba.ge/files/YFA_recommendations_for_catering_services_2022c.pdf
- კახეთის რეგიონში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან https://www.asocireba.ge/files/Social_Umbrella_TVET_Kakheti_2022.pdf

კონტაქტი:

თბილისის ოფისი	**თელავის ოფისი**
მისამართი: თბილისი 0177, ჯებაშვილის I გასასვლელი N.5 (ყოფილი დელისის I შესახვევი, 5ა) **ტელეფონი: (995 32) 2 39 90 19**	**მისამართი: გიორგი არსენიშვილის ქუჩა 2, თელავი, საქართველო** **ტელეფონი: (995 32) 2 180 177**
E-mail: office@csrdg.ge **Web page**: **www.csrdg.ge**	